


საქართველოს
საგარეო უწყებანი



საგარეო უწყებანი

„პიონერი“

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და
საქართველოს განსახორციელების
ერთობიური ჟურნალი

№ 12

დეკემბერი — 1936

წლიური 88-11

საბ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ი. ბ. სტალინი — ს. ს. რ. კვშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მოხსენება საბჭოების სრულიად საკავშირო სავანგებო VIII ყრილობაზე 1 გვ.
2. შ. მარიაშვილი — ტრაონის საუხვე და ხუროთმოძღვრის საიდუმლოება — (მოთხრობა) 20 „
3. ნ. დაფნარელი — ბიკო ხუნდაქეს (ლექსი) 24 „
4. ჟურნალ „პიონერს“ 1936 წ. ყველა ნომრების შინაარსი (გარე კანის) 3-4 „

ჟურნალი გაფორმებულია მხ. ი. ქაქიაშვილის მიერ.

პ/მგ. რედაქტორი. ა. თომასაძე

პ/მგ. მდივანი: ელ. აბლაძე



საბჭოების სრული საკავშირო საბანკო VIII ყრილობა

ამხანაგი ი.ბ. სტალინის მოხსენება სსსკავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

0581

ამხანაგ სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი ხანგრძლივი, მკუხარე ოვაციით ხვდება. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ყოველი მხრიდან გაისმის ძახილი: „ვაშა ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“. „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „დიდ გენიოსს ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „ვივატ!“, „როტფრონტ!“, „ამხანაგ სტალინს დიდება!“.

1

საკონსტიტუციო კომისიის შემახად და მისი ანგარიშები ამხანაგებო!

საკონსტიტუციო კომისია, რომლის პროექტი განსახილველად წარედგინა ამ ყრილობას, როგორც ვიცით, შექმნილი იყო სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის სპეციალური დადგენილებით. ეს დადგენილება მიღებულ იქნა 1935 წლის 6 თებერვალს. იქ ნათქვამია:

- „1. შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებანი შემდეგი მიმართულებით:
 - ა) მოხდეს საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია იმ მხრივ, რომ არა საესებით თანასწორი არჩევნები შეიცვალოს თანასწორით,

მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, აშკარა — ფართული;

ბ) დაუსტდეს კონსტიტუციის სოციალურ-ეკონომიური საფუძველი იმ ხრივ, რომ კონსტიტუცია შეესაბამოს კლასობრივ ძალთა ახლანდელ თანაფარდობას სსრ კავშირში (ახალი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა, კულაკობის განადგურება, საკომუნურენო წყობილების გამარჯვება, სოციალისტური საკუთრების, როგორც საბჭოთა საზოგადოების საფუძველის, დამკვიდრება და ა. შ.).

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აირჩიოს საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალოს კონსტიტუციის შესწორებულ ტექსტის



შემუშავება პირველ პუნქტში აღნიშნულ საფუძვლებზე და მისი წარდგენა სსრ კავშირის ცაკის სესიაზე დასამტკიცებლად.

3. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უახლოესი მორიგე არჩევნები სსრ კავშირში ჩატარდეს ახალი საარჩევნო სისტემის საფუძველზე“.

ეს იყო 1935 წლის 6 თებერვალს. ამ დადგენილების მიღებიდან ერთი დღის შემდეგ, ე. ი. 1935 წლის 7 თებერვალს, შეიკრიბა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია და სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად შექმნა საკონსტიტუციო კომისია 31 კაცის რაოდენობით. მან საკონსტიტუციო კომისიას დაავალა სსრ კავშირის შესწორებული კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

ასეთია ფორმალური საფუძვლები და სსრ კავშირის უზენაესი ორგანოს დირექტივები, რომელთა ბაზაზე უნდა გაეშალა თავისი მუშაობა საკონსტიტუციო კომისიას.

ამრიგად საკონსტიტუციო კომისიას უნდა შეეტანა ცვლილებანი ამჟამად მომქმედ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია 1924 წელს, და ამასთან გაეთვალისწინებინა ის ძვრანი სსრ კავშირის ცხოვრებაში სოციალიზმის მიმართულებით, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან დღევანდლამდე განვილი პერიოდში.

II ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვილი პერიოდში

როგორია ის ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვილი პერიოდში და რომელნიც უნდა აესახა საკონსტიტუციო კომისიას თავის კონსტიტუციის პროექტში?

რაშია ამ ცვლილებათა არსება?

რა გეჭონდა ჩვენ 1924 წელს?

ეს იყო ნების პირველი პერიოდი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო კაპიტალიზმის ერთგვარი გამოკოცნება სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, როცა ის ითვალისწინებდა, რომ მეურნეობის ორი სისტემის, კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების, შეჯიბრების მსვლელობაში შეექმნა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური

სისტემის მიმართ. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობაში გაგვემტკიცებინა სოციალიზმის პოზიციები, მიგვეღწევა ტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და დაგვეთავებინა სოციალისტური სისტემის, როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი სისტემის გამარჯვება.

ჩვენი მრეწველობა მაშინ წარმოადგენდა არასახარბილო სურათს, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა. მართალია, მხედობდა მისი თანდათანობითი აღდგენა, მაგრამ მას ჯერ კიდევ სრულიად ეკერ მიეღწია თავისი პროდუქციის ობამდელ დონემდე. იგი ემყარებოდა ძველ ჩამორჩენილ და არამდიარ ტექნიკას. რა თქმა უნდა, იგი ვითარდებოდა სოციალიზმის მიმართულებით. ჩვენი მრეწველობის სოციალისტური სექტორის ზვედრითი წონა მაშინ შეადგენდა დაახლოებით 80 პროცენტს. მაგრამ კაპიტალიზმის სექტორის მიხედვით მაშინ მრეწველობის არანაკლებ 20 პროცენტია.

ჩვენი სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო არასახარბილო სურათს წარმოადგენდა. მართალია, მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტების კლასი, კულაკების კლასი, ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. მთლიანად სოფლის მეურნეობა მაშინ მოგვაგონებდა წვირლ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწყედნ ოკეანეს თავიანთი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით. ამ ოკეანეში ცალკეული წერტილებისა და პატარა კმძქმულების სახით არსებობდნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც, კაცმა რომ სთქვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ცოტად თუ ბევრად სერიოზული მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სუსტნი იყვნენ, ხოლო კულაკი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ჩვენ მაშინ ელპარაკობდით კულაკობის არა ლიკვიდაციაზე, არამედ მის შეზღუდვაზე.

იგივე უნდა ითქვას საქონელობრუნვაზე ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური სექტორი საქონელობრუნვაში შეადგენდა რაღაც 50—60 პროცენტს, —რა მეტს, ხოლო მთელი დანარჩენი არე ეკავათ ეპურებს, სპეკულიანტებს და სხვა კერძობებს.

ასეთი იყო ჩვენი ეკონომიკის სურათი 1924 წელს.

რა გვაქვს ჩვენ ახლა, 1936 წელს?



თუ ჩვენ მაშინ გვქონდა ნების პირველი პერიოდი, ნების დასაწყისი, კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლები პერიოდი, ახლა ჩვენ გვაქვს ნების უკანასკნელი პერიოდი, ნების დასასრული, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციის პერიოდი.

დაიწყეთ თუნდაც იქიდან, რომ ამ პერიოდში ჩვენი მრეწველობა გიგანტურ ძალად ვიზარდა. ახლა უკვე არ შეიძლება ვუწოდოთ მას 'სუსტი და ტექნიკურად ცუდად შეჭურვილი'. პირიქით, ახლა იგი ემყარება ახალ, მდიდარ თანამედროვე ტექნიკას ძლიერ განვითარებული მძიმე ინდუსტრიით და კიდევ უფრო მეტად განვითარებული მანქანათმშენებლობით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ კაპიტალიზმი სრულიად განდევნილია ჩვენი მრეწველობის სფეროდან, ხოლო წარმოების სოციალისტური ფორმა ახლა წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ სისტემას ჩვენი მრეწველობის დარგში. წერილობრივად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჩვენი ახლანდელი სოციალისტური ინდუსტრია პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით შეიძლება და კიდევ უფრო მეტად სკარაბობს ოამდელი დროის ინდუსტრიას.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაცვლად წვირილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანისა, მათი სუსტი ტექნიკით და კულაკის ძალა-გავლენით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაშინაზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმეცვლელი სისტემის სახით. ყველაათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წვირილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორის თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს; ამასთან მისი ხედირითი წონა სოფლის მეურნეობაში სათესი ფართობების ოდენობის მხრივ შეადგენს არაუმეტეს 2—3 პროცენტისა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახლა კოლმეურნეობებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ 316 ათასი ტრაქტორი 5 მილიონ 700 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად აქვთ 400 ათასზე მეტი ტრაქტორი 7 მილიონ 580 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით.

რაც შეეხება საქონეობურუნვას ჩვენს ქვეყანაში, ვაჭრები და სპეკულანტები სრულიად გან-

დევნილი არიან ამ დარგიდან. ახლა მთელი საქონეობურუნვა სახელმწიფოს, კოოპერაციისა და კოლმეურნეობების ხელში იმყოფება. მწარმოებელი და განვითარდა ახალი, საბჭოთა ვაჭრობა და უსპეკულანტებოდ, ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ.

ამგვარად, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება ახლა ფაქტს წარმოადგენს.

ხოლო ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსაზობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი. (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და განაწევება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და ყუღურული ცხოვრებისათვის.

ასეთია ძირითადი ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი ეკონომიკის დარგში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვილი პერიოდში.

სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარ ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა.

მემამულეთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძღვევამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზარეს. აღარ არის კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში. აღარ არის კულაკების კლასი სოფლის მეურნეობის დარგში. აღარ არიან ვაჭრები და სპეკულანტები საქონეობურუნვის დარგში. ამგვარად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი. დარჩა გლეხთა კლასი. დარჩა ინტელიგენცია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ სოციალური ჯგუფებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განეცადოთ, თითქოს ისინი დარჩენილიყვნენ ისეთებადვე, როგორც ისინი, ვთქვით, კაპიტალიზმის პერიოდში იყვნენ.





ავილოთ, მაგალითად, სსრ კავშირის მუშათა კლასი. მას ძველი ჩვეულების მიხედვით ხშირად პროლეტარიატს უწოდებენ. მაგრამ რა არის პროლეტარიატი? პროლეტარიატი არის კლასი, მოკლებული საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს მეურნეობის ისეთი სისტემის დროს, როდესაც საწარმოო იარაღები და საშუალებანი კაპიტალისტებს ეკუთვნით და როდესაც კაპიტალისტთა კლასი ეწევა პროლეტარიატის ექსპლოატაციას. პროლეტარიატი — ეს არის კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული კლასი. მაგრამ ჩვენში კაპიტალისტთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებულია, საწარმოო იარაღები და საშუალებანი ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. მაშასადამე, აღარ არის კაპიტალისტთა კლასი, რომელსაც შეეძლოს ექსპლოატაცია გაუწიოს მუშათა კლასს. მაშასადამე, ჩვენი მუშათა კლასი არა თუ მოკლებული არ არის საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს, არამედ, პირიქით, იგი მათ ჰფლობს მთელ ხალხთან ერთად. რაკი იგი მათ ჰფლობს, ხოლო კაპიტალისტთა კლასი, ლიკვიდირებულია, — გამორიცხულია მუშათა კლასის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა. შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ჩვენს მუშათა კლასს პროლეტარიატი ეწოდოს? ცხადია, არ შეიძლება. მარქსი ამბობდა: იმისათვის, რომ პროლეტარიატმა თავი გაინთავისუფლოს, მან უნდა გაანადგუროს კაპიტალისტთა კლასი, ჩამოართვას კაპიტალისტებს საწარმოო იარაღები და საშუალებანი და მოსპოს წარმოების ის პირობები, რომლებიც პროლეტარიატს წარმოუშობენ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასმა უკვე განახორციელა თავისი განთავისუფლების ეს პირობები? უსათუოდ შეიძლება და უნდა ითქვას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკვიდრა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და საბჭოთა საზოგადოებას კომუნისმის გზით წარმართავს.

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის მუშათა კლასი — ეს სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული, მუშათა კლასია, რომლის

მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

გადავიდეთ გლეხობის საკითხზე. რაც ამბობენ, რომ გლეხობა — ეს წერილ მშობებელთა ისეთი კლასია, რომლის წევრნი ატომიზებული, მთელ ქვეყანაში გაბნეული არიან, ცალცალკე ცოდვებზე თვინათ წვრილ მეურნეობებში თავიანთი ჩამორჩენილი ტექნიკით, წარმოადგენენ კერძო საკუთრების მონებს და მათ დაუსჯელად უწევენ ექსპლოატაციის მემამულენა, კულაკები, ვაჭრები, სპეკულანტები, მევახშენი და მათი მსგავსნი. და მართლაც, გლეხობა კაპიტალისტური ქვეყნებში, თუ მხედველობა მის ძირითად მასას მივიღებთ, სწორედ ასეთ კლასს წარმოადგენს. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე გლეხობა, საბჭოთა გლეხობა, თავისი მასით ამგვარ გლეხობას წააგავს? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ასეთი გლეხობა ჩვენში უკვე აღარ არის. ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალ გლეხობას წარმოადგენს. ჩვენში აღარ არიან მემამულეები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომელთაც შეეძლოთ გლეხთა ექსპლოატირება. მაშასადამე, ჩვენი გლეხობა არის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობა. შემდეგ, ჩვენი საბჭოთა გლეხობა თავისი უდიდესი უმრავლესობით არის კოლმეურნე გლეხობა, ე. ი. იგი თავის მუშაობასა და თავის დოვლათს ამკავებს არა ერთობლივულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. ბოლოს, ჩვენი გლეხობის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე გაიზარდა.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

დასასრულად, გადავიდეთ ინტელიგენციის საკითხზე. საკითხზე ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა, კულტურული ფრონტის მუშაკთა, საერთოდ მოსამსახურეთა და სხვ. მან აგრეთვე დიდი ცვლილებანი განიცადა განვილი პერიოდში. ეს უკვე ის ძველი დახვებული ინტელიგენცია კი არ არის, რომელიც ცდილობდა თავისი თავი კლასებს ზევით დაეყენებინა, ნამდვილად კი თავისი მასით ემსახურებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია — ეს სრულიად ახალი



ლი ინტელიგენციაა, რომელიც მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან. ჯერ-ერთი, შეიცვალა ინტელიგენციის შემადგენლობა, თავიდანაწურობისა და ბურჟუაზიის წრედან გამოსულები შეადგენენ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის მცირე პროცენტს. საბჭოთა ინტელიგენციის 80-90 პროცენტი—ეს მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელთა სხვა ფენებიდან არის გამოსული. ბოლოს, შეიცვალა თვით ინტელიგენციის საქმიანობის ხასიათიც. წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არა ჰქონდა; ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელისხელ ჩაიკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნას.

როგორც ხედავთ, ეს საცემები ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვივთ.

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი დროის მანძილზე მოხდა საბჭოთა საზოგადოებას კლასობრივი სტრუქტურის დარღვი.

რას გვეუბნებიან ეს ცვლილებანი?

ისინი გვეუბნებიან, ჯერ-ერთი, იმას, რომ სახელმწიფო მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ისევე როგორც ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის — იშლება, ხოლო ძველი კლასობრივი განკერძოებულობა — ჰქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო და უფრო მცირდება მანძილი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

მეორე, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა, იშლება ეკონომიური წინააღმდეგობანი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

დასასრულ, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა და იშლება აგრეთვე პოლიტიკური წინააღმდეგობანი ამ შორის.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურის დარღვი ცვლილებათა მხრივ.

სსრ კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებათა სურათი არ იქნებოდა სრული, რამდენიმე სიტყვა რომ არ გვეთქვა ცვლილებებზე კიდევ ერთ დარღვი. მე მხედველობაში მაქვს სსრ კავშირში ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფერო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავ-

შირში შედის დაახლოებით 60 ნაცია. ნაციონალური ჯგუფი და ეროვნება. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი სახელმწიფოა. განსაკუთრებით სსრ კავშირის ხალხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხს არ შეიძლება არ ჰქონდეს ჩვენთვის პირველხარისხიანი მნიშვნელობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც ცნობილია, შექმნა 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოთა პირველ ყროლობაზე. იგი შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე. ამჟამად მომქმედი კონსტიტუცია, მიღებული 1924 წელს, არის სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია. ეს იყო პერიოდი, როცა ხალხებს შორის ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ იყო წესიერად მოვარგებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამჭარალი ველოკორისებისადმი უნდობლობის ნაშთები, როცა ცენტრისბოლი ძალები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას. საჭირო იყო ამ პირობებში მოვედევარებინა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთდამარების ბაზაზე, მათი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანებით. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო არ დაენახნა ამ საქმის სინდელი. მის თვალში იყო ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა მარცხით დამთავრებული ცდები. მის თვალში იყო ძველი ავსტრია-უნგრეთის მარცხით დამთავრებული ცდა. და მან მაინც მიმართა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან მან იცოდა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაეძლიოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს.

მის შემდეგ 14 წელმა განვილო. პერიოდი საკმარისია იმისათვის, რომ შევამოწმოთ ცდა. და მერე? განვილიმა პერიოდმა უქვეყლად დაგვანახვა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უქვეყელი გამარჯვება. (ხანგრძლივი ტაში).

რით უნდა აიხსნას ეს გამარჯვება?

არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციათა შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ენებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას



შეუთა კლასი, რომელიც მტრის ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელი ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტორმა განხორციელებდა სამეორნო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კოლტურის, თორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კოლტურის აყვავებამ. — ყოველივე ამან და მათმა მზავსმა ფაქტორებმა მივიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაქჷრა მათში ურლიერულდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთეგობრობის გრძნობა და, ამგვარად, მივეყარდა ხალხთა ნამდელი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საყვეშრო სახელმწიფოს სისტემაში.

ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს სახეებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეუზღებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ, სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში. (მქუთხარე ტაში).

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განილი პერიოდის მანძილზე მოხდა სსრ კავშირში ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფეროში.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ის ცვლილებათა საერთო შედეგი, რომლებიც 1924 წლიდან 1936 წლამდე განვილი პერიოდში მოხდა.

III კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი

რა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარმა ყველა ამ ცვლილებამ ახალი კონსტიტუციის პროექტში?

სხეანაირად რომ ვთქვათ: როგორია ძირითადი თავისებურებანი კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც ამ ყრილობის განსახილველად არის წარმოდგენილი?

საკონსტიტუციო კომისიის დაეალბული ჰქონდა შეეტანა ცვლილებანი 1924 წლის კონსტიტუციის ტექსტში. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შედეგად მივიღეთ კონსტიტუციის ახალი ტექსტი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენისას საკონსტიტუციო კომისია იქიდან გამოიღოდა, რომ

კონსტიტუცია არ უნდა იქნას არეული პროცესითან. ეს ნიშნავს, რომ პროგრამასა და კონსტიტუციის შორის არსებითი განსხვავება არ უნდა იქონიოდესაც პროგრამა ლაპარაკობს იმაზე, რაც უკვე კიდევ არ არის და რაც ჯერ კიდევ მიღწეულ და მოპოვებულ უნდა იქნას მომავალში, კონსტიტუცია, პირიქით, უნდა ლაპარაკობდეს იმაზე, რაც უკვე არაა, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია ახლა, აწყუშო. პროგრამა უმთავრესად ეტება მომავალს, კონსტიტუცია — აწყუშოს.

ორი მაგალითი ილუსტრაციისათვის.

ჩვენმა ჩაქუთთა საზოგადოებამ მიიღწია იმას, რომ ძალიან უკვე განხორციელა სოციალიზმი. შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განხორციელა ის, რასაც მარქსისტები სხეანაირად კომუნისმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნისმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. (ხანგებდელი ტაში). კომუნისმის ამ ფაზის ძირითად პრინციპს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: „თვითუღლისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითუღლს — მისი შრომის მიხედვით“.

უნდა ასახოს თუ არა ჩვენმა კონსტიტუციამ ეს ფაქტი, სოციალიზმის მოპოვების ფაქტი? უნდა დაემყაროს თუ არა იგი ამ მონაპოვარს? უსათუოდ უნდა დაემყაროს. უნდა დაემყაროს, რადგან სოციალიზმი სსრ კავშირისათვის არის ის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

მაგრად სპეუთა საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ მიუღწევია კომუნისმის მაღალი ფაზის განხორციელებისათვის, სადაც გაბატონებული პრინციპი იქნება ფორმულა: „თვითუღლისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითუღლს მისი მოთხოვნილების მიხედვით“, თუმცა კი იგი მიზნად ისახავს მიიღწიოს მომავალში კომუნისმის უმაღლესი ფაზის განხორციელებას. შეუძლიან თუ არა ჩვენს კონსტიტუციას დაემყაროს კომუნისმის უმაღლესი ფაზა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის და რომელიც ჯერ კიდევ მოპოვებულ უნდა იქნას? არა, არ შეუძლიან, რადგან კომუნისმის უმაღლესი ფაზა სსრ კავშირისათვის არის ის, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულია და რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. არ შეუძლიან, თუ არ უნდა მის ვადიქცეს პროგრამად, ან დელკრაციად მიმავალ მონაპოვართა შესახებ.

ასეთია ჩვენი კონსტიტუციის ჩარჩოები მოცემულ ისტორიულ მომენტში.





ამგვარად, ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგს, იგი, მაშასადამე, წარმოადგენს იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოლოდინულია. (მქუხარ ტაშო).

ამაში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება.

მეორე, ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ჩვეულებრივ გამოდიან კაპიტალისტური წყობილების ურყევლობის რწმენიდან. სსრ კავშირის კონსტიტუციის მთავარ საფუძველს შეადგენენ კაპიტალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება; აღმართისაგან ადამიანის ექსპლუატაცია და ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულებათა არსებობა; მშრომელი უმრავლესობის არაუზრუნველყოფა საზოგადოების ერთ ბოლუსზე და არა-მშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე ბოლუსზე; და სხვ. და ა. შ. ისინი ეყრდნობიან კაპიტალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. ისინი იმით ასახევენ, ისინი იმით განამტკიცებენ საკანონმდებლო წესით.

მთავან განსხვავებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის ფაქტიდან. სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვების ფაქტიდან. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარ საფუძველს შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები უკვე მოპოვებულნი და განხორციელებულნი: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლუატაციისა და ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაცია; უმრავლესობის სილატაციისა და უმცირესობის ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია; შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე ფორმულით: „ინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს“. შრომის უფლება, ე. ი. თვითეული მოქალაქის უფლება მიიღოს გარანტირებული სამუშაო; დასვენების უფლება; განათლების უფლება; და სხვ. და ა. შ. ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა სოციალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. იგი მათ ასახავს, იგი მათ განამტკიცებს საკანონმდებლო წესით.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება.

მეორე, ბურჟუაზიული კონსტიტუციები მარედ გამოდიან იმ წინამძღვარიდან, რომ საზოგადოება შესდგება ანტაგონისტური კლასებისაგან, იმ კლასებისაგან, რომლებიც სიმძლიერესა ჰყოფენ, და იმ კლასებისაგან, რომლებიც მათ არ ჰყოფენ, რომ რომელი პარტიაც უნდა ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია შეძლებული კლასებისათვის.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის იქიდან, რომ საზოგადოებაში უკვე აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთის მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში ღდანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფო ხელმძღვანელობა (დიქტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განამტკიცდეს საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მშრომელუბისათვის.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე თავისებურება.

მეორე, ბურჟუაზიული კონსტიტუციები მარედ გამოდიან იმ წინამძღვარიდან, რომ ნაციები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ არიან სრულუფლებიანი ნაციები და არიან არასრულუფლებიანი ნაციები, რომ, ამას გარდა არსებობს კიდევ ნაციებისა ან რასების მესამე კატეგორია, მაგალითად, კოლონიებში, რომლებსაც კიდევ უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე არასრულუფლებიანი ნაციებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს კონსტიტუცია თავისი საფუძვლით წარმოადგენს ნაციონალისტურს, ე. ი. განპირობებულ ნაციების კონსტიტუციებს.

ამ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, პირიქით, ღრმად ინტერნაციონალურია. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა თანასწორუფლებიანია. იგი გამოდის იქიდან, რომ განსხვავება კა-



ნის ფერისა ან ენისა, კულტურული დონისა ან სახელმწიფო განვითარების დონისა, ისევე როგორც სხვა რომელიმე განსხვავება ნაციებსა და რასებს შორის — არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ გავამართლოთ ნაციონალური არათანასწორუფლებიანობა. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობისაგან ლაბოლუკიდებლად, მათი ძალის ან სისუსტისაგან დამოუკიდებლად, — უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავისებურება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის მეხუთე თავისებურებას წარმოადგენს მისი თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი. დემოკრატიზმის თვალსაზრისით ბურჟუაზიული კონსტიტუციები შეიძლება დაეყუთონ ორ ჯგუფად: კონსტიტუციათა ერთი ჯგუფი პირდაპირ უარყოფს ან ფაქტურად არააზობად აქცევს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას და დემოკრატიულ თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეორე ჯგუფი ხალხისთი დებულობს და სიქვეყნოდაც კი გაპყვიის დემოკრატიულ საწყისებზე, მაგრამ ამასთან უკეთებს ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი სრულიად დამახინჯებული გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ საარჩევნო უფლებებზე ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს, ან შეეხება მათ ნაწილობრივ და სხვ. და ა. შ.

სარ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია მსგავსი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არა სცნობს განსხვავებას მამაკაცთა დედმამკაცთა, „ბინადართა“ და „არაბინადართა“, შქონებელთა და უქონელთა, გახათლებულთა და გაუხათლებულთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარ-

მოშობა, არა წმენი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითელი მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავს მდგომარეობის საზოგადოებაში.

დასაბრუნად, ახალი კონსტიტუციის პროექტის კიდევ ერთი თავისებურება. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, მაგრამ ავიწყლებათ, რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა მეპატრონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთა აქეთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორეები მოკლებული არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი — ექსპლოატირებულთ. ან კიდევ: ლაპარაკობენ სიტყვის, კრებებისა და ბევლდვითი სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება მუშათა კლასისათვის ლიტონსიტყვად გადაიქცეს, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს თავის განკარგულებაში შესაფერისი შენობები კრებებისათვის, კარგი სტამბები, საბეჭდო ქაღალდის საკმაო რაოდენობა და ა. შ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეებს უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მას ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არ არსებობის ფაქტის, უშუალოდ მისობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მათ საკანონმდებლო წესით გარკვეული მატერიალურად საშუალებებით. ამიტომ გასაგებია, რომ ახა-



ლი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმში წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა“ და „საყოველთაოდ აღიარებულ“ დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ სოციალისტურ დემოკრატიზმს.

ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ძვრათა და ცვლილებათა ასახვა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომლებიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

IV

კონსტიტუციის პროექტის გარეგნული კრიტიკა

რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის შესახებ.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს კონსტიტუციის პროექტს უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა, უდაოდ წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს. რამდენადაც უცხოეთის პრესა ასახავს ბურჟუაზიულ ქვეყანათა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების საზოგადოებრივ აზრს, ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი ავუხვიოთ იმ კრიტიკას, რომელიც ამ პრესამ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ გაშალა.

კონსტიტუციის პროექტის მიმართ უცხოეთის პრესის რეაქციის პირველი ნიშნები გამოიხატა გარკვეულ ტენდენციებში — დემილით შეხედუროდნენ კონსტიტუციის პროექტს. მე ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ყველაზე უფრო რეაქციული, ფაშისტური პრესა. კრიტიკოსთა ამ ჯგუფმა უმჯობესად ჩასთვალა უბრალო დემილით შეხედუროდა კონსტიტუციის პროექტს, ისე წარმოედგინა საქმე, თითქმის პროექტი არ ყოფილიყოს და იგი საერთოდ არ არსებობდეს ბუნებაში. შეიძლება სთქვან, დემილით შეხედრა არ არის კრიტიკა. მაგრამ ეს არაა მართალი. დემილით შეხედრის მეთოდით, როგორც უგულვებელყოფის განსაკუთრებული საშუალება, არის აგრეთვე კრიტიკის ფორმა, მართალია, სულელური და სისაცილო, მაგრამ ჰინც კრიტიკის ფორმა. (საერთო სიცილი, ტაში). მაგრამ დემილით შეხედრის მეთოდთან მათ არაფერი გამოუვიდით. ბოლოსდაბოლოს ისინი იძულებული გახდნენ აეხსნათ სარკველი და ელწყებინათ მსოფლიოსათვის, რომ რაღაც სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მინც არსებობს, და არა თუ არსებობს, არამედ მანვე შემოქმედებასუცხედნენ ადამიანთა გონებაზე. სხვანაირად არც შეიძლება და ყოფილიყო, რადგან მინც არის ქვეყნად რაღაც საზოგადოებრივი აზრი, მეიხველები, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც სურთ იცოდნენ მართლმადიდებლის შესახებ, და მათი დიდხანს ყოლა მოტყუების მარწუხებში ყოვლად შეუძლებელია. მოტყუებით შორს ვერ წახვალ...

მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა აღიარებს, რომ კონსტიტუციის პროექტი ნამდვილად არსებობს ბუნებაში, მაგრამ იგი სოფლის, რომ პროექტი არ წარმოადგენს დიდ ინტერესს, რადგან იგი არსებობს არის არა კონსტიტუციის პროექტი, არამედ ფარატნა ქალაღი, ცალეირი დაპირება, ნაგარა-უღევი ერთგვარი მანგერის გასაკეთებლად და ხალხის მოსატყუებლად. ამასთან ისინი იმსახვებენ, რომ უკეთესი პროექტის მოცემა საბჭოთა კავშირს არც შეეძლო, რადგან თვითონ სსრ კავშირი წარმოადგენს არა სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ — გეოგრაფიულ ცნებას (საერთო სიცილი), ხოლო რაღაც იგი სახელმწიფოს არ წარმოადგენს, ამიტომ მისი კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილი კონსტიტუცია იყოსო. კრიტიკოსთა ამ ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია, რარც უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, გერმანიის ოფიცოზო „დიტტშე დიპლომატიზმ-პოლიტიშე კორესპონდენტ“. ეს უცრნალი პირდაპირ ამბობს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს ცალეირ დაპირებას, მოტყუებას, „პოტომკინია სოფელს“. იგი უყურამინოდ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი არ არის სახელმწიფო, რომ საბჭოთა კავშირი „სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება“ (საერთო სიცილი), რომ ამიტომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილ კონსტიტუციად იქნას აღიარებულიო.

რა შეიძლება ითქვას ასეთ, უეცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე? ერთერთი თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავნება ბიუროკრატიის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაზღუდული, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ“ ოლქში „უწესრიგი და სიწყნარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაეღიჯა და ათო-



მით ქალაქები გადასწვია, მან ირგვლივ მიმოიხილა და ჰორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებადანობილი ქვეყანა, სადაც, თურმე არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში "შვითი" შეიქმნა და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? (საერთო სიცილი, ტაში). რასაკვირველია, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს ამერიკაში! (საერთო სიცილი). მაგრამ ვანა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? (საერთო სიცილი). და, სიტყვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა!“ (საერთო სიცილი).

მე მგონია, რომ ვაებატონები „დეტზე დიპლომატიკა-პოლიტიკაში კორუსაონდენციდან“ როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰვეანან შედრინის ბიუროკრატს. (საერთო სიცილი, მოწონების ტაში). ამ ვაებატონებს საბჭოთა კავშირი უკვე დიდი ხანია თვალი უხიბრებათ. ცხრამეტე წელსიწინადაც საბჭოთა კავშირი, როგორც შექურა, რომელიც განთავისუფლების სულით მსქვალაეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და კოვს ჰვერის მუშათა კლასის მტრებს. და იგი, ეს საბჭოთა კავშირი, თურმე, არა თუ მხოლოდ არსებობს, არამედ იზრდება კიდევ, და არა თუ იზრდება, არამედ წარმატებულად აღწევს, და არა თუ წარმატებულად აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც აღწევს, პროექტს, რომელიც აღაგზნებს ადამიანთა გონებას, ახალ იმედებს უნერავს დაჩაგრულ კლასებს. (ტაში). როგორ არ უნდა აღშფოთდნენ ამის შემდეგ ვაებატონები გერმანული ოფიცოზიდან? რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, გოდებენ ისინი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი (საერთო სიცილი), და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? და, სიტყვს რა ეს, დაადგინეს: კვლავ დაიხუროს საბჭოთა კავშირი, ყველას გასაგონად გამოცხადდეს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რომ საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გეოგრაფიული ცნება! (საერთო სიცილი).

აღებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, შედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, მაინც მონახა თავისთავში რეალურის გაგების

ელემენტები. ჩილაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მავალ, მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებული“. (მხიარული სიცილის გრაილი, მტკიცე რე ტაში). მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა კვლავ ვაებატონებს გერმანული ოფიცოზიდან მიხედნენ, რომ ამათემი სახელმწიფოს „დახურვა“ ქალაქზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიანთ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“... (მხიარული სიცილის გრაილი, მტკიცე რე ტაში).

რაც შეეხება იმას, ვითომც სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენდეს ცალიერ დაპირებას, „პოტიომკინის სოფელს“ და ა. შ., მე მინდა მივეუთითოთ მთელ რიგ დადგენილ ფაქტებს, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ.

1917 წელს სსრ კავშირის ხალხებმა დაამხეს ბურჟუაზია და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, დაამყარეს საბჭოთა ძალაუფლება. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და გლვებებს გადასცა 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი მემამულური, სახაზინო და საპონასტრო მიწები და ეს—მ მიწების გარდა, რომლებიც წინათაც გლვეთა ხელში იყო. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაცია, ჩამოართვა მათ ბანკები, ქარხნები, რკინიგზები და სხვა საწარმოო-იარაღნი და საშუალებანი, გამოაცხადა ისინი სოციალისტურ საკუთრებად და ამ საწარმოთა სათავეში დააყენა მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანები. ეს ფაქტია და არა დაპირება. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, მოაწყო რა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, ახალი ტექნიკური ბაზით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღწია იმას, რომ ამყამად მიწათმოქმედება სსრ კავშირში იძლევა ერთნახევარჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე იმავე იძლეოდა, ინდუსტრია აწარმოებს შედეგურ მეტ პროდუქციას, ვიდრე იმავედ, ხოლო სახალხო შემოსავალი გაიზარდა ერთიოთხად რამდენდ დროსთან შედარებით. ყოველივე ეს — ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო უმუშევრობა, ცხოვრებაში გაატარა შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, უ-



რუნველყო უკეთესი მატერიალური და კულტურული პირობები მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის, უზრუნველყო საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების გარტარება ცხოვრებაში მოქალაქეთა ფარული კენჭისყრა. ყოველივე ეს — ფაქტები და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ, სსრ კავშირმა მოგვცა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც წარმოადგენს არა დაპირებას, არამედ ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

კოხტა ისმება, რა აზრი აქვს ყოვლივე ამის შემდეგ გერმანული ოფიციალის ვაჟბატონთა ლაეობას „პოტიომკინის სოფლების“ შესახებ, თუ არა ის, რომ მათ მიზნად დაისახეს დაუმალონ ხალხს სიმართლე სსრ კავშირის შესახებ, შეიყვანონ ხალხი შეცდომაში, მოატყუონ იგი.

ასეთია ფაქტები. ხოლო ფაქტები, როგორც იტყვიან, ჯიუტი რამ არის. ვაჟბატონებს გერმანული ოფიციალიდან შეუძლიათ სთქვან: მით უარესი ფაქტებისათვის. (ხაერთო სიცილი). მაგრამ მაშინ მათ შეგვიძლიან ვუბასუბთო ცნობილი რუსული ანდაზის სიტყვებით: „რეგენთათვის კანონი არ იწერება“. (მზიარული სიცილი, ხანგრძლივი ტაში).

შესამე ჯგუფი კრიტიკოსთა არ უარობს ალიანსის კონსტიტუციის პროექტის გარკვეული დიპსებანი, იგი მას დადებით მოგვინად მიაჩნია, მაგრამ იგი, თურმე ნუ იტყვიო, ძალიან ეჭვობს, რომ შეიძლება მის მთელ რიგ დებულებათა ცხოვრებაში დეტარება, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ ეს დებულებანი საერთოდ განუხორციელებელია და ქალაქებზე უნდა დარჩნენ. ეს, რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიკოსები არიან. ისინი, ეს სკეპტიკოსები, ყველა ქვეყანაში მოიპოვებიან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მათ პირველად როდი ეხედებით. როცა ბოლშევიკები 1917 წელს ძალაუფლებას ხელში იღებდნენ, სკეპტიკოსები ამბობდნენ: ბოლშევიკები, შეიძლება ითქვას, ცუდი ადამიანები არ არიან, მაგრამ ხელისუფლების მხრე მათ საქმე არ გამოუვათ, ისინი ჩაფლავდებიან. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ჩაფლავდნენ არა ბოლშევიკები, არამედ სკეპტიკოსები.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენ-

ციის დროს სკეპტიკოსთა ეს ჯგუფი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცუდია რამ არ არის, მაგრამ დენიკინი და კარაქინი უცხოელები მას, ალბათ, დასაძლევნი კი აღმოაჩნდა, რომ სკეპტიკოსები აქაც მოტყუდნენ ანგარიშში.

როცა საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი ხუთწლიანი გეგმა გაითავსა, სკეპტიკოსთა კვლავ გამოვლენა სცემა და ამბობდნენ: ხუთწლიანი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ არა გავიან მისი გაათავისუფლება შეიძლება, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკებს ხუთწლიანი მხოვე საქმე არ გამოუვათ. მაგრამ ფაქტება დაგვათავსებს, რომ სკეპტიკოსებს კვლავ უაქუხნა ბედმა: ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში იქნა გაათავისუფლებული.

იგივე უნდა ითქვას ახალი კონსტიტუციის პროექტზე და მის კრიტიკაზე სკეპტიკოსთა მხრივ. საკმაოა იყო პროექტის გამოქვეყნება, რომ კრიტიკოსთა ეს ჯგუფი კვლავ გაათავისუფლო. სცემაზე თავისი ხალხისათვის სკეპტისით, თავისი გვეებით კონსტიტუციის სოციალისტური დებულების განხორციელება შესაძლებლობის შესახებ. არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტათ იმაში, რომ სკეპტიკოსები ამ შემთხვევაშია ჩაფლავდებიან, ახლაც ისევე ჩაფლავდებიან, როგორც ისინი წარსულში არავითარ ჩაფლავებულა.

შეოთხე ჯგუფი კრიტიკოსთა, იგიონი მიჰქვას ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, ახასიათებს მას, როგორც „ძვერას ძარჯვნივ“, როგორც „ხელის აღებას პოლიტარიატის დიქტატურაზე“, როგორც „ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაცია“. „ბოლშევიკები მარჯვნივ გადაქანდნენ, ეს ფაქტია“ — ამბობენ ისინი სხვადასხვა ჰანგზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობენ ზოგერთი პოლიტურის და ნაწილობრივ ამერიკული გაზეთები.

რა შეიძლება ითქვას ამ, უცარავად პასუხა, კრიტიკოსებზე?

თუ მუშათა კლასის დიქტატურის ზაზის გაფართოებას და დიქტატურის გადაქცევას საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფრო მოქნილ, მამასადამე, — უფრო მძლავრ სისტემად ისინი განმარტავენ არა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის გაძლიერებას, არამედ როგორც მის დასუსტებას ანდა მასზე ხელის აღებასაც კი, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იცაან



კი საერთოდ ამ ვაებატონებმა — რა არის მუშათა კლასის დიქტატურა?

თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განმტკიცებას, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განმტკიცებას ისინი უწოდებენ „ძეგრას მარჯვენა“, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იცანა კი საერთოდ ამ ვაებატონებმა — რითი განსხვავდება მარცხენა მარჯვენისაგან? (ხანგრძლივი ტაში).

არ შეიძლება ექვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაებატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აურჩიეს მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გავიხსენოთ შინაგა „გოგო“ პულავია გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. მან, როგორც გოგოლი მოგვიახრობს, ერთხელ როგორღაც იცისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის, მაგრამ, რადან ვერ შესძლო ვაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური ვაზეთებიდან, მთელი მათი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ გაცილებიან „მკვდარი სულების“ შინაგა „გოგო“ პულავიას ვაგების დონეს. (ტაში). თუ ვაიხსენებთ, მეეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩასთვალა დაეტუქსა პულავია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურჩია მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეხ, შე შევგებავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. მე გვონია, მართებულად იტყებოდა ასევე დაგეტუქსა ჩვენი ჰქუამოკლე კრიტიკოსები და ვაგეტუქვა მათთვის: ეხ, თქვე ვი-კრიტიკოსებო... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ, კიდევ ერთი ჯგუფი კრიტიკოსებიცა. თუ წინა ჯგუფი ბრალსა სდებს კონსტიტუციის პროექტს იმაში, რომ იგი ხელს იღებს მუშათა კლასის დიქტატურაზე, ეს ჯგუფი, პირიქით, ბრალს სდებს მას იმაში, რომ იგი არაფერს არა სცვლის სსრ კავშირში არსებულ მდგომარეობაში, რომ იგი ხელუხლებელს სტოვეებს მუშათა კლასის დიქტატურას, დაუშვებლად სთვლის პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას და ძალაში სტოვეებს კომუნისტთა პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას სსრ კავშირში. ამასთან, კრიტიკოსთა ამ ჯგუფს მიაჩნია, რომ სსრ კავშირში პარტიათა თავისუფლების არარსებობა დე-

მოკრატიზმის საფუძვლების დარღვევის წარმოადგენს.

მე უნდა აღვიარო, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი მართლაც ძალაში სტოვეებს მუშათა კლასის დიქტატურის რეჟიმს, ისევე როგორც უცვლელად სტოვეებს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას. (მქუხარე ტაში). თუ პატივცემულ კრიტიკოსებს ეს კონსტიტუციის პროექტის ნაკვად მიაჩნიათ, მაშინ შეგვიძლიან მხოლოდ სინანული ვამოვიტუვათ ამის გამო. ჩვენ კი, ბოლშევიკები, ამას კონსტიტუციის პროექტის ღირსებად ვთვლით. (მქუხარე ტაში).

რაც შეგება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის თავისუფლებას, ჩვენ აქ რაღვენადმე სხვა შეხედულებებისა ვართ. პარტია არის კლასის ნაწილი, მისი მოწინავე ნაწილი. რამდენიმე პარტია და, მაშასადამე, პარტიების თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არიან ანტაგონისტური კლასები, რომელთა ინტერესები მტრული და შეურიგებელია, სადაც არიან, ცოქაათ, კაპიტალისტები და მუშები, მემამულეები და გლეხები, კულაკები და ღარიბები და ა. შ. მაგარა სსრ კავშირში უქვე აღარ არიან ისეთი კლასები, როგორც კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები და ა. შ. სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი — მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არა თუ მტრული არ არის, არამედ პირიქით — მეგობრულია. მაშასადამე, სსრ კავშირში არ არის ნიადაგი რამდენიმე პარტიის არსებობისათვის და, მაშასადამე, ამ პარტიების თავისუფლებისათვისაც. სსრ კავშირში არის ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, კომუნისტური პარტიისათვის. სსრ კავშირში არსებობა შეუძლიან მხოლოდ ერთ პარტიას — კომუნისტთა პარტიას, რომელიც ვაბედულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ხოლო რომ იგი ამ კლასთა ინტერესებს ცუდად არ იცავს, ამაში არა გვონია შესაძლებელი იყოს რაიმე ექვის შეტანა. (მქუხარე ტაში).

ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია? დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, საბოლოო ანგარიშით არის დემოკრატია ძლიერობათვის, დემოკრატია ჰქონებელი უმცირესობისათვის. დემოკრატია სსრ კავშირში, პირიქით, არის დემოკრატია მშრომელთათვის, ე. ი. დემო-





კრატია ყველასათვის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ დემოკრატიზმის საფუძვლებს არღვევს არა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, არამედ — ბურჟუაზიული კონსტიტუციები. იი რატომ ვფიქრობ მე, რომ სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ბოლომდე დემოკრატიულ კონსტიტუციას.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის მხრავ.

Y

**შესწორებაანი და დამატებაანი
კონსტიტუციის პროექტისათვის.**

გადვიდეთ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციის პროექტისათვის შემოტანილი შესწორებათა და დამატებათა საკითხზე.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვებ, როგორც ვიცით, შესწორებათა და დამატებათა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა მოგვს. ყველა ისინი გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში. შესწორებათა დიდი მრავალფეროვნებისა და მათი არაერთნაირი ღირებულების გამო, ჩემს აზრით, მართებული იქნებოდა მათი დაყოფა სამ კატეგორიად.

პირველი კატეგორიის შესწორებათა განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კონსტიტუციის საკითხებს კი არ შეეხებიან, არამედ მოხაველი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის საკითხებს. დაზღვევის ცალკეული საკითხები, საკულმურნო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, სამრეწველო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, საფინანსო საქმის საკითხები, — ასეთია ამ შესწორებათა თემები. როგორც სჩანს, ამ შესწორებათა ავტორებს ვერ გაუთვალისწინებია განსხვავება საკონსტიტუციო საკითხებსა და მიმდინარე კანონმდებლობის საკითხებს შორის. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კანონი ჩასტყვიონ კონსტიტუციაში, მიჰყავთ რა საქმე იქით, რომ კონსტიტუცია გადააქციონ კანონთა რაოდ კრეატივის მავარად. მაგრამ კონსტიტუცია არ არის კანონთა კრებული. კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, და მხოლოდ ძირითადი კანონი. კონსტიტუცია არა თუ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე

საკანონმდებლო მუშაობას, კონსტიტუცია იძლევა იურიდიულ ბაზას ასეთი ორგანოს მუშაობისათვის. საკანონმდებლო მუშაობისათვის. ისეთი ხასიათის შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ კონსტიტუციასთან, ჩემს აზრით, უნდა გადაეცეს ქვეყნის მომავალ საკანონმდებლო ორგანოს.


მეორე კატეგორიას უნდა მიეკუთვნოთ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელნიც ცდილობენ შეიტანონ კონსტიტუციაში ისტორიულ ცნობათა ელემენტები ან დეკლარაციის ელემენტები იმაზე, თუ ჯერ კიდევ რას ვერ მიიღწია საბჭოთა ხელისუფლებამ და რას უნდა მიიღწიოს მან მომავალში. აღინიშნოს კონსტიტუციაში, თუ რა სიძნელეები გადალახეს მრავალი წლის მანძილზე პარტიამ, მუშათა კლასმა და ყველა შრომელმა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში; მითითებულ იქნას კონსტიტუციაში საბჭოთა მოძრაობის საბოლოო მიზანი, ე. ი. სრული კომუნისტური საზოგადოების აგება. — ასეთია ამ შესწორებათა თემები, რომლებიც სხვადასხვა ვარიანტით მეორდება. მე ვფიქრობ, ასეთი შესწორებანი და დამატებანი აგრეთვე განზე უნდა გადაიდოს, რადგან მათ არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციასთან. კონსტიტუცია არის იმ მიღწევითა რეგისტრაცია და საკანონმდებლო განმტკიცება, რომლებიც უკვე მოაოვეებულია და უზრუნველყოფილი. თუ ჩვენ აი გვინდა კონსტიტუციის ამ ძირითადი ხასიათის დამაინჯება, იგი არ უნდა ავაქსოთ ისტორიული ცნობებით წარსულზე, ანდა დეკლარაციებით სსრ კავშირის შრომელთა მომავალ მონაპოვრებზე. ამ საქმისათვის ჩვენ გვაქვს სხვა გზები და სხვა დოკუმენტები.

ბოლოს, მესამე კატეგორიას უნდა მიეკუთვნონ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციის პროექტთან.

ამ კატეგორიის შესწორებათა მნიშვნელოვან ნაწილს სარედაქციო ხასიათი აქვს. ამიტომ შეიძლება ისინი გადავეცეა ამ ყრილობის სარედაქციო კომისიისათვის, რომელსაც, ვფიქრობ, ყრილობა შეჭმნის და დაავალებს მას დაადგინოს ახალი კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო რედაქცია.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის დანარჩენ შესწორებებს, მათ უფრო არსებითი მნიშვნელობა





აქვთ, და მათ შესახებ, ჩემი აზრით, აქ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

1) უწინარეს ყოვლისა შესწორებებზე კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლისათვის. არის ოთხი შესწორება. ერთი წინადადება იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მეშაი და გლები სახელმწიფო“ ითქვას: „მშრომელთა სახელმწიფო“. მეორე წინადადებას იძლევიან — სიტყვებს „მეშაი და გლები სახელმწიფო“ დამატოს: „და მშრომელი ინტელიგენციის“. მესამე წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მეშაი და გლები სახელმწიფო“ ითქვას: „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა რასისა და ეროვნების სახელმწიფო“. მეოთხე წინადადებას იძლევიან — სიტყვა „გლები“ შეიცვალოს სიტყვით „კოლმეურნეთა“, ან სიტყვებით: „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა“.

უნდა მივიღოთ თუ არა ეს შესწორებანი? მე ვფიქრობ, რომ არ უნდა მივიღოთ.

რაზე ლაპარაკობს კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი? იგი ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. შევვიძლიან თუ არა ჩვენ, მარქსისტებს, კონსტიტუციაში გვერდი ავუვაროთ ჩვენი საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობის საკითხს? არა, არ შევძელიან. საბჭოთა საზოგადოება, როგორც ცნობილია, შეყვდება ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან. კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი სწორედ ამაზე ლაპარაკობს. მაშასადამე, კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი სწორად ასახავს ჩვენი საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობას. შეიძლება გვკითხოვნ: მშრომელი ინტელიგენცია? ინტელიგენცია არსოდეს არ ყოფილა კლასი და არც შეიძლება იყოს, — იგი იყო და რჩება ფენად, რომელიც თავის წევრებს იძენს საზოგადოების ყველა კლასს შორის. ძველ დროს ინტელიგენცია თავის წევრებს იძენდა თავიდანხაურთა, ბურჟუაზიას, ნაწილობრივ გლებთა შორის და მხოლოდ სრულიად უშიშვნელო რაოდენობით მეშაითა შორის. ჩვენს, საბჭოთა დროში, ინტელიგენცია თავის წევრებს იძენს უმთავრესად მუშათა და გლეხთა შორის. მაგრამ როგორიღაც უნდა სცავბოდეს იგი და რა ხასიათიც უნდა ჰქონდეს მას, ინტელიგენცია მაინც არის ფენა და არა კლასი.

ხომ არ ლახავს ეს გარემოება მშრომელი ინტელიგენციის უფლებებს? სრულიად არა! კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი საბჭოთა სა-

ზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებს არ ლაპარაკობს, არამედ ამ საზოგადოების უმთავრეს შემადგენლობაზე. საბჭოთა საზოგადოების შემადგენლობაზე. მათ შორის მშრომელი ინტელიგენციის უფლებებზე, ლაპარაკია უმთავრესად კონსტიტუციის პროექტის მეათე და მეორე-მეცამეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია საესებით თანაშორი არიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, მშრომელი ინტელიგენციის უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

იგივე უნდა ითქვას სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების შესახებ. კონსტიტუციის პროექტის მეორე თავში უკვე ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის თანაშორიულებიანი ნაციების თავისუფალი კავშირი. განა ღირს ამ ფორმულის განმეორება კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების არა ნაციონალურ შემადგენლობაზე, არამედ მის კლასობრივ შემადგენლობაზე? ცხადია, რომ არა ღირს. რაც შეეხება სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების უფლებებს, ამაზე ლაპარაკია კონსტიტუციის პროექტის მეორე, მეათე და მეორემეტეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ სსრ კავშირის ერები და რასები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, ნაციონალურ უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ამევი უმართებულო იქნებოდა შეგვეცვალა სიტყვა „გლები“ სიტყვით „კოლმეურნე“, ან სიტყვებით „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელი“. ჯერ-ერთი, გლებთა შორის გარდა კოლმეურნეებისა ჯერ კიდევ არის მილიონზე მეტი კომლი არა-კოლმეურნენი, რა ვუყოთ მათ? ხომ არ ფიქრობენ ამ შესწორების ავტორები, რომ ისინი-საოცარად ამი მივიღოთ? ეს გონიერული არ იქნებოდა. მეორე, — თუ გლებთა უმრავლესობა უკვე ეწევა საკოლმეურნეო მეურნეობას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აღარ არის გლეხობა, რომ მას უკვე არა აქვს თავისი პირადი მეურნეობა; პირადი კარმიდამო და ა. შ. შესამე, მაშინ საჭირო გახდებოდა შეგვეცვალა აგრეთვე სიტყვა





„მუშა“ სიტყვებით „სოციალისტური მრეწველობის მშრომელი“. მაგრამ შესწორების ავტორები ასეთ წინადადებას რატომღაც არ იძლევიან. დასასრულს, განა ჩვენში უკვე გაქპინენ მეშაბა კლასი და გლეხთა კლასი? ხოლო თუ ისინი არ გამჭრალან, განა საჭიროა ამოვშლოთ ლექსიკონიდან მათთვის დადგენილი სახელწოდებანი? შესწორების ავტორებს, როგორც ეტყობათ, მხედველობაში აქვთ არა ახლანდელი, არამედ მომავალი საზოგადოება, როცა კლასები აღარ იქნებიან და როცა მუშები და გლეხები გადაიქცევიან ერთიანი კომუნისტური საზოგადოების მშრომელებად. მაშასადამე, ისინი აშკარად წინ მიჩნია, მაგრამ კონსტრუქციის შედგენისას უნდა გამოედიოდეთ არა მომავლიდან, არამედ აწმყოდან, იქიდან, რაც უკვე არის. კონსტრუქციას არ შეუძლიან და არც უნდა მიზნობდეს წინ.

მეორე მოკავშირე რესპუბლიკა. მაგრამ ეს სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, მაშინვე შირის კონსტრუქციიდან გამოიცხადება წინასწარ ნას მუხლი, რომელიც ლაპარაკობს მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების თანასწორობაზე.

3) შემდეგ არის წინადადება, კონსტრუქციის პრაქტიკის მეორე თავი შეგავსოთ ახალი მუხლით, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, როცა ისინი სამეურნეო და კულტურული განვითარების სათანადო დონეს მიაღწევენ, შეიძლება გარდაიქმნან მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად. შეიძლება თუ არა მივიწოდოთ ეს წინადადება? მე ვფიქრობ, რომ მისი მიღება საჭირო არ არის. იგი არ არის სწორი არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ, არამედ თავისი მოტივების მხრივაც. შეუძლებელია ავტონომიური რესპუბლიკების გადაყენება მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში მოტივირებულ იქნას მათი სამეურნეო და კულტურული მომწიფებით, ისევე როგორც შეუძლებელია მოტივირებულ იქნას ამა თუ იმ რესპუბლიკის დატოვება ავტონომიურ რესპუბლიკათა სიაში მისი სამეურნეო ან კულტურული ჩამორჩენილობით. ეს იქნებოდა არა-მარქსისტული, არა-ლენინური მიდგომა. მაგალითად, თათართა რესპუბლიკა რჩება ავტონომიური, ხოლო კაზახთა რესპუბლიკა ხდება მოკავშირე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კაზახთა რესპუბლიკა კულტურული და სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას, ვიდრე თათართა რესპუბლიკა. საქმე სწორად რომ პირიქით არის. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად, ვოლგის მხარის გერმანიელთა ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ყირგიზთა მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთაგან პირველი კულტურული და სამეურნეო მხრივ უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორე, თუმცა იგი ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება.

2) შემდეგ მიღის შესწორება კონსტრუქციის პროექტის მეჩვიდმეტე მუხლისათვის. შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვენ საუბრიდ გამოირჩეოს კონსტრუქციის პროექტიდან მეჩვიდმეტე მუხლი, რომელიც ლაპარაკობს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლად გამოსვლის უფლების შენარჩუნებაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება არ არის სწორი და ამიტომ იგი არ უნდა მიიღოს ყრილობამ. სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირი. სსრ კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლების მუხლის გამოჩნება კონსტრუქციიდან — ნიშნავს ამ კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათის დარღვევას. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ გადავდგათ ეს ნაბიჯი? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან და არც უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი. ამბობენ: სსრ კავშირში არ მოიპოვება არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა. ამის გამო მეჩვიდმეტე მუხლს არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენში რომ არ არსებობს არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სსრ კავშირის შემაღდენლობიდან გამოსვლა სურდეს, ეს რასაკვირველია, მართალია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამოდინარეობს ის, რომ ჩვენ არ უნდა ჩავეწყოთ კონსტრუქციაში სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკათა თავისუფლად გამოსვლის უფლება. სსრ კავშირში ავრეთვე არ არსებობს ისეთი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს დასაბრუნოს

როგორია ის ნიშნები, რომელთა არსებობაც საუფძველს გვაძლევს გადავიყვანოთ ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში?

ისინი, ეს ნიშნები, — სამია. ჯერ-ერთი, საჭიროა რომ რესპუბლიკა ფიქს განაპირა, რომელიც ყოველმხრივ არ არის ვარსებობა მოტყემული სსრ კავშირის ტერიტორიით. რატომ? იმიტომ რომ, თუ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლა უფლება, მაშინ სსრ



ზრია ამ ოქსუბლიკას, რომელიც მოკავშირე გახდა, საშუალება ჰქონდეს ლოგიკურად და ფაქტიურად დააყენოს სსრ კავშირიდან თავის გამოსვლის საკითხი. ხოლო ასეთი საკითხის დასმა შეუძლიან მხოლოდ ისეთ რესპუბლიკას, რომელიც, ვთქვათ, ესაზღვრება უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოს და, მაშასადამე, ყოველი მხრიდან არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რასაკვირველია, ჩვენში არ არიან ისეთი რესპუბლიკები, ფაქტიურად რომ აყენდნენ სსრ კავშირიდან გამოსვლის საკითხს. მაგრამ რაჟი მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ ისე უნდა მოვაწყუთ საქმე, რომ ეს უფლება არ გადაიტყოს ფარატიან და უახრო ქაღალდად. ავიღოთ, მაგალითად, ბაშკირეთის ან თათართა რესპუბლიკა. ვთქვათ, ეს ავტონომიური რესპუბლიკები გადავიყვანეთ მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში. შევძლოთ თუ არა მათ ლოგიკურად და ფაქტიურად დაყენებინათ სსრ კავშირიდან თავიანთი გამოსვლის საკითხი? არა, არ შეუძლოთ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ყოველმხრივ გარშემორტყმული არიან საბჭოთა რესპუბლიკებითა და ოლქებით და, კაცმა რომ თქვას, მათ სსრ კავშირის უხვადგალობიდან არსად წაესვლებათ. (საერთო ხეილი, ტაში). ამიტომ ასეთი რესპუბლიკების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში სწორია აო იქნებოდა.

მეორე მხიფი, საჭიროა, რომ ეროვნება, რომლის სახელიც საბჭოთა რესპუბლიკას ეწოდება, წარმოადგენდეს ამ ოქსუბლიკაში ცოტად თუ ბევრად ყომაქტუო უმრავლესობას. მაგალითად, ავიღოთ ყირიმის ავღონომიური რესპუბლიკა. იგი არის განაიირა ოქსუბლიკა, მაგრამ ყირიმელ თათრებს არა ჰყავთ უარაველსობა ამ რესპუბლიკაში, პირიქით,—ისიი იქ უმცირესობას წარმოადგენენ. მაშასადამე, უფათებულობა და ულოგიკობა იქნებოდა ყირიმის ოქსუბლიკის გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში.

მესამე: საეთოთა, რომ რესპუბლიკა არ იყოს ძალიან პატათა თავისი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თომ მას ჰყავდეს მოსახლეობა, ვთქვათ, არა ხაკლებ, არამედ მეტო თუნდაც ერთი მილიონისა. რატომ? იმიტომ რომ უმართებულო იქნება იმის ფიქრი, თითქმის პატარა საბჭოთა რესპუბლიკას, რომელსაც მოსახლეობის მინიმალური აოდენობა და უმნიშვნელო არამა ჰყავს, შეეძლოს ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრი-

ვი არსებობის იმედი. მეზანი ეტვი არ უნდა ვიყო ნითო, რომ იმპერილისტური მტაცებლები, კერძოდ ფად ჩაივლებდნენ მას ხელში.

მე ფფიქრობ, რომ თუ ეს სამი ობიექტური ნიშანი არ არსებობს, სწორი არ იქნებოდა ამ ისტორიულ მომენტში დაეყენებოთ ამა თუ იმ ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში გადაყვანის საკითხს.

4) შემდეგ წინადადება შემოაქვთ ამოვშლოთ მე-22, 23, 24, 25, 26, 27, 28 და 29 მუხლებში დაწერილებითი ჩამოთვლა მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა მხარეებად და ოლქებად. მე ფფიქრობ, რომ ეს წინადადებაც მიუღებელია. სსრ კავშირში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან დიდის ხალიხით და დაულალავად ხელახლა გამოსვრა მხარეები და ოლქები და ამით არეყვარებენ მხარეების უქონლობა შეიტანონ მუშაობაში. კონსტიტუციის პროექტი ასეთი ადამიანებისათვის ჰქმნის ლავამს. და ეს ძალიან კარგია, იმიტომ რომ აქ, ისე როგორც სხვა ბევრ რამეში, ჩვენში საჭიროა რწმუნის აღმოსფერო, საჭიროა სტაბილობა, სიცხადე.

5) მეხუთე შესწორება ენება მე-33 მუხლს. მიზანშეუწონლად სთვლიან ორი პალატის შექმნას და წინადადება იძლევიან მოისოსო ეროვნებათა საბჭო. მე მგონია, ეს შესწორება ავრთვე სწორი არ არის. ერთპალატიანი სისტემა ორპალატიანზე უკეთესი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი რომ ერთიან ნაციონალურ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. მაგრამ საბჭოთა კავშირი არ არის ერთიანი ნაციონალური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი, როგორც ენობილია, არის მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს უზუნაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის საერთო ინტერესები დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესებს გარდა აქეთ კიდევ თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალურ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უფლებუნეყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზუნაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორ-



კაა საბჭოთა კავშირი. ანეი ორგანოს წარმოდგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო.

ბა, ცილრე ოდენსმე. საკანონმდებლო ძალა ეჭვს უბამს სსრ კავშირში უნდა ანხორციელდეს სსრ კავშირის ლოდ ერთი ორგანო, სსრ კავშირის საბჭო.

9) შემდეგ შემოაჩეთ კონსტიტუციის პროექტის მე-48 მუხლის დამატება. რომლის ძალით მოითხოვენ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე არჩეულ იქნას არა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არაა სწორი, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ჩვენი კონსტიტუციის სულს. ჩვენი კონსტიტუციის სისტემაში სსრ კავშირში არ უნდა იყოს ერთპიროვნული პრეზიდენტი, რომელსაც აირჩევს მთელი ხალხი, უზენაესი საბჭოს თანაბრად, და რომელსაც შეეძლება თავისთავი დაუპირისპიროს უზენაეს საბჭოს. საბჭოთა კავშირში პრეზიდენტი კოლგიალურია. — ეს არის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩათვლით, არჩეული არა მთელი მოსახლეობის, არამედ უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებული უზენაესი საბჭოს წინაშე. ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უზენაესი ორგანოების ასეთი აგება გვიწინააღმდეგობრობდა და უზრუნველყოფს ქვეყანას არასუსტრილი შემთხვევითობისაგან.

10) შემდეგ მიდის შესწორება იმავე მე-48 მუხლისათვის. იქ ნათქვამია: გადიდდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა თვითმეტყველ იმ ანგარიშით, რომ თვითველი მოკავშირე რესპუბლიკიდან იყოს ერთი მოადგილე. მე ვფიქრობ, რომ ამ შესწორების მიღება შეიძლებოდა, ვინაიდან იგი აუმაღლებს საქმის და შეუძლიან მილოდ განამტკიცოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ავტორიტეტი.

11) შემდეგ მიდის შესწორება მე-77 მუხლისათვის. იგი მოითხოვს მოეწყოს ახალი საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი. — თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნებოდა ამ შესწორების მიღებაც (ტაში), ვინაიდან მომწიფდა დრო იმისათვის, რომ გამოეყოფინ ჩვენი თავდაცვის მრეწველობა და მიეცათ მას სათანადო გაფორმება სახალხო კომისარიატის სახით. მე მგონია, რომ ეს მხოლოდ გააუმჯობესებდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

12) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის

6) შემდეგ კონსტიტუციის პროექტისათვის იძლევიან დამატებას, რომელიც მოითხოვს ორთავე პალატის წევრთა რაოდენობის გათანაბრებას. მე ვფიქრობ, ამ წინადადების მიღება შეიძლებოდა. იგი გვაძლევს, ჩემის აზრით, აშკარა პოლიტიკურ პლუსებს, რადგან ხაზს უსვამს პალატების თანასწორობას.

7) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან იმგვარადვე ავირჩიოთ დამატებები ეროვნებათა საბჭოში, როგორც კავშირის საბჭოში, პარლამენტი არჩევნების გზით. მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადების მიღებაც შეიძლებოდა. მართალია, მას შეუძლიან ზოგიერთი ტექნიკური უხერხულობის შექმნა არჩევნების დროს. სამაგიეროდ იგი დიდ პოლიტიკურ მოგებას მოგვცემს, რადგან იგი ასწევს ეროვნებათა საბჭოს ავტორიტეტს.

8) შემდეგ მიდის მე-40 მუხლის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან მიეანიჭოთ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება გამოსცეს დროებითი საკანონმდებლო აქტები, მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არ არის სწორი და არ უნდა მიიღოს ყრბლობა. ბოლოსდაბოლოს საჭიროა ბოლო მოვდოს იმ მდგომარეობას, როცა კანონმდებლობა არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ მთელი რიგი ორგანოები, ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კანონების სტაბილობის პრინციპს, ხოლო კანონების სტაბილობა ახლა უფრო მეტად გვჭირდება.



ასოციაციონი მუხლის შესწორება, რომელიც მოითხოვს ამ მუხლის შეცვლას იმ მიმართულებით, რომ აიკრძალოს რელიგიურ წესთა შესრულება. მე ვფიქრობ, რომ ეს შესწორება უარყოფილ უნდა იქნას, როგორც ჩვენი კონსტიტუციის სულის შემსახურად.

13) დასასრულ, კიდევ ერთი შესწორება, რომელსაც ცოტად თუ ბევრად არსებითი ხასიათი აქვს. მე ვლაპარაკობ შესწორებაზე კონსტიტუციის პროექტის ასოციაციონებზე მუხლისთვის. იგი წინადადებას იძლევა ჩამორთვის საარჩევნო უფლებები კულტის მსახურით, ყოფილ თეთრგვარდიელთ, ყველა ყოფილ ადამიანსა და პირს, რომელნიც კი საერთო-სასარგებლო შრომას არ ეწევიან, ანდა, ყოველ შემთხვევაში, — შეიზღუდოს ამ კატეგორიის პირთა საარჩევნო უფლებანი, — მიერეკით მათ მხოლოდ უფლება — აირჩიონ, მაგრამ არ იქნან არჩეული. მე ვფიქრობ, ეს შესწორებაც უარყოფილ უნდა იქნას. საბჭოთა ხელისუფლებამ წინაორთვა საარჩევნო უფლებანი არამშრომელ და ექსპლოატატორულ ელემენტებს არა უკუჩნით უკუჩნისადაც, არამედ დროებით, განსაზღვრულ პერიოდამდე. იყო დრო, როცა ეს ელემენტები აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ ხალხის წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კანონებს. საბჭოთა კანონი მათი საარჩევნო უფლების ჩამორთვის შესახებ იყო საბჭოთა ხელისუფლების პასუხი ამ წინააღმდეგობის გაწევაზე. მას შემდეგ ცოტა დრომ როდი განვლო. განვიღო პერიოდში ჩვენ მივადმიეთ იმას, რომ ექსპლოატატორული კლასები მოსპობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება უძლიერეს ძალად გადაიქცა. ხომ არ მოვიდა დრო გადასინჯოს ეს კანონი? მე ვფიქრობ, რომ ეს დრო მოვიდა. ამბობენ, ეს საშიშიაო, რადგან ჩვენი ქვეყნის უზენაეს ორგანოებში შეიძლება გაიძვრნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ელემენტები, ზოგი ვინმე ყოფილი თეთრგვარდიელიდან, კულაკებიდან, ხუცებიდან და ა. შ., მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, რისა უნდა გვეშინაოდეს აქ? „Вашков былся, в лес не ходить“ *. (მხიარული გაცხოველება დარბაზში, მქუხარე ტაში). ჯერ-ერთი, ყველა ყოფილი კულაკი, თეთრგვარდიელი თუ ხუცესი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი არ არის, მეორე, ხალხმა კიდევ რომ აირჩიოს აქა-იქ მტრული აღმჩინები, ეს იმის მიჩვენებული იქნება, რომ ჩვენი საავტორიო მუშაობა ძალიან ცუდად არის დაყენებული, და ჩვენ სასვე-

ბით დავიმსახურებთ ასეთი სირცხვილი, ხოლო თუ ჩვენი საავტორიო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უზენაეს ორგანოებში მტრულ აღმჩინებს არ შეუშვებს. მაშასადამე, კი არ უნდა ვიწუწუწოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ (მქუხარე ტაში), უნდა ვიმუშაოთ და არა დაველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მხამარულად მოგვეცემა ადმინისტრაციულ განკარგულებაში წესით. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს ამბობდა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხელისუფლება სასარგებლოდ მიიჩნევს შემოიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მაქცეით ყურადღება: ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამას იგი ამბობდა მაშინ, როცა უცხოელთა სახელმწიფო ინტერვენცია ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ იყო, ხოლო ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სასოწარმყვეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მას შემდეგ უკვე ჩვიდმეტმა წელმა გაჩლო. განა დრო არ არის, ამხანაგებო, შევარსოლოთ ლენინის მიოთიება? მე ვფიქრობ, რომ დროა.

აი რას ამბობდა ლენინი 1919 წელს თავის შრომაში „რკვ (2) პროვრამის პროექტი“. ნება მომეცით წაგკითხოთ:

„რკვ უნდა განმარტავდეს მშრომელ მასებს, წარმატებულ ისტორიულ საკურობათა არასწორი განზოგადების თავიდან ასაცილებლად, რომ მოქალაქეთა ნაწილისათვის საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა სრულიადაც არ ენება საბჭოთა რესპუბლიკაში, როგორც ეს ხდებოდა უმეტეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკებში, მოქალაქეთა განსაზღვრულ კატეგორიას, რომელნიც სამუდამოდ უუფლებოებდა ცხადდებოდა არამედ ენება მხოლოდ ექსპლოატატორებს, მხოლოდ იმათ, ვინც წინააღმდეგ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა ჯიუტობს თავისი ექსპლოატატორული მდგომარეობის დაცვაში, კაპიტალისტური ურთიერთობათა შენარჩუნებაში. მაშასადამე, საბჭოთა რესპუბლიკაში, ერთის მხრივ, სოციალიზმის ყოველდღიურ განმტკიცებასა და იმათი რიცხის შემცირებასთან ერთად, ვისაც ობიექტურად შესაძლებლობა აქვს დარჩეს ექსპლოატატორად, ან შეინარჩუნოს კაპიტალისტური ურთიერთობანი, თავისთავად შვირდება საარჩევნო უფლებანიამორთმეული პროცენტი. არა გვგონია ახლა რუსეთში ეს

*) მგლებისა გეშინიან — ტყეში ნუ წახვალ.



პროცენტი ორ, სამ პროცენტზე მეტ... ეკონ. მეორე მხრივ, სულ ახლო მომავალში საგარეო შემოსევების შეწყვეტისა და ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის დამთავრებას შეუძლიან, გარკვეულ პირობებში, შექმნას ისეთი მდგომარეობა, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება აირჩევს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის სხვა ხერხებს და შემოიღებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე". (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 94. პარტკამომცემლობის გამოცემა. 1935 წელი).

მგონი ნათელია.

ასეთია გვების ვითარება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისათვის შესწორებათა და დამატებათა მხრივ.

VI

სსრ კავშირის ახალი

კონსტიტუციის მნიშვნელობა

თუ ვიმსჯელებთ საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგთა მიხედვით, რომელიც თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ კონსტიტუციის პროექტი ამ ყრილობის მიერ ნაწარმოებული იქნება. (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციასი გადაღის. დარბაზი ფეხზე დგება).

რადენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, ავებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საცუქელაზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მართლაც და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობდნენ ოცნებას მილონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში. (მქუხარე ტაში).

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სასებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიც. (მქუხარე ტაში).

მაგალი აქედან ეკონომიკის... გვერდია შეიძლება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

ახლა, როცა ფაშისმის ძლიერი ტალღა აფერხებს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალღაში სერის ცივილიზებული მსოფლიოს რაუტეთსო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალდებელი აქტი ფაშისმის წინააღმდეგ, აქტი რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. (ტაში). სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საჭიროდ იქნება ყველა იმითვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ. (მქუხარე ტაში).

რადე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სსრ კავშირის ხალხთათვის. თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაქირების განვილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვექმნდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა წაყოფზე ლაპარაკობს, სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოცხლოთ, სისათვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მანათიისი შედეგები მოგვცა. (ხანგრძლივი ტაში). ეს სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვაშორებს და გვიძლიებს კანონიერი სიამაყის გრძობას. ეს განვეითებებს რწმენას საყოთარი ძალებისადმი და გვარბამებს ახალი ბრძოლისათვის კომუნისმის ახალ გამარჯვებათა მოსამოებლად. (მქუხარე ოვაცია. მთელი დარბაზი ფეხზე დგება). მქუხარე „ვაშა“, საერთო შემახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“ ყრილობა ფეხზე ამდგარი მღერის „ინტერნაციონალს“. „ინტერნაციონალის“ შესრულების შემდეგ ოვაცია ახლდება. შემახილები: „ვაშა“, „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს!“.





საიდუმლოება

შ. მარიანაშვილი

(დახასრული)

მკითხველი მიხედვებოდა, რომ ეს კაცი ფთავმა იყო. შინ საშინელი აზრებით ბრუნდებოდა და თან დედისათვის კეთილად მიჰქონდა. ამ დღის ფარაონის განძსაფაროდან მხოლოდ ერთადერთი, ყველაზე ძვირფასი განძი მოჰქონდა—ეს იყო უმცროსი ძმის მოკვეთილი თავი...

დღითი ფარაონი ჩვეულებისამებრ თავის განძსაფარში შევიდა. შევიდა და გახარებულმა წამოიძახა:

—ამენგოთეჰ! ხელავ, ხელავ, გაბმულა ქურდი მახეში! ო, შე ავაზაკო, კიდევ ითარებებ ჩემს საუნჯეში?! ჩავარდი, განა, ჩემს ხელში!—და გაბრაზებული ფარაონი მივარდა, რომ ქურდისათვის ერთი ლაზათიანი სილა ეჭმა და ვული მოეოხა, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, გველნაკებნივით უკან გადმოხტა და შეშინებულია წამოიძახა:

—უთოო კაცი?!

ამენგოთეჰიც ახლოს მიიჭრა და გაცეხული შესდგა: მახეში გაბმულ კაცს მართლაც თავი ჰქონდა მოკვეთილი. ეტყობოდა, ქურდს ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ამხანაგისათვის თავი მოეკეთა და თან წაეღო. მაგრამ საიდან იყო ქურდი შემოსული ან ვასული—ეს აოცებდა მათ. მართალია, დაიჭირეს ბოროტმოქმედი, მაგრამ უთოო კაცი კი შერჩათ ხელში. წაიღ ახლა და ეძებე ვინ იყო იგი! საიდუმლო შემოსასვლელი ისევ ქურდების განკარგულებაში რჩებოდა. გაჯავრებულმა შეეძლოთ შური ეძიოდა და ფარაონის საუნჯე ვაენადგურებინათ. ეს აწინებდა ფარაონს. ამენგოთეჰის რჩევით, მან ქურდის გვამი ვარეთ გაატანია და განძსაფარის კედლებზე ჩამოაკიდინა. მცველებს დააეღა მხახველებისათვის თვალყური ედევნებინათ: ვინც ძალიან შეწუხდებოდა ტირილს დაიწყებდა, დაუყოვნებლივ დაეპატიმრებიათ...

თავმოკვეთილი კაცის ამბავი ელვის სისწრაფით მოელო მთელ ქალაქს. ყველა მისწრაფოდა, რომ საკუთარი თვალებით ენახა უბედური. ცნობისმოყვარეთა რიცხვში ხუროთმოძღვრის ქვრივიც ვრია. დედამ, რასაკვირველია, შვილი ვერ იცნო. ფიქრდაც არ მოსდიოდა, რომ თავმოკვეთილი კაცი მი-

სი შვილი ფეთიზი იქნებოდა. მაგრამ რატომღაც ტანისამოსს დაამტერდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა ვენა, ტანისამოსი მეცნაურება, თითქმის ეს კაცი საღლა მინახავს“. ჩადიქრდა. მაგრამ ვერ მოიგონა სად ენახა. გაურვიველი შიში ივრძნო. უფრო ახლოს მისვლა დააპირა, მაგრამ აუარებელ ხალხში ვერ მოახერხა. სახლში მძიმე შთაბეჭდილებით დაბრუნდა. ეზოში რომ შევიდა, ვაფთორებულ ი ფთავმა შემოხვდა, რომელსაც ხელში რალაც შეხვეული ეჭრა და ეტყობოდა, საღლაც მიჩქარებოდა. ისე მოჩვენა, თითქმის შვილს თავის არიდება უნდოდა.


—ფთავმა, ნახე კედლებზე ჩამოკიდებული კაცი? —ვიი იმ უბედურის დედას... რა მოგდის, შვილო, როგორ ვაფთორებულხარ?! დედა გენაცვალის, ავიდ ხომ არახარ? სად იყავით გუშინომ შენ და ფეთიზი? ძმის სახლის ვაგონებზე ფთავმის სახე უფრო დაეღრკია, ტუჩები აუკანკალა, თავი ვერ შეიშავრა და ატირდა. ატირდა და დედაც ატირა. მიტარილდა, გაქცევა დააპირა, მაგრამ დედა კალთამი სწვა და შეაჩერა.

—ფთავმა, შვილო, მითხარ, რა უბედურება ჩემ თავს! რას მოასწავებს შენი ცრემლები? რატომ პირდაპირ არ მიყურებ? წელან შეგამინი, თავს მარილებდი... სად არის ჩემი ფეთიზი?

ფთავმა სამარცხავით დუმდა და ხმას არ იღებდა. თავი დაბლა დაეხარა და მიწას დაეინებით დასცქეროდა. ავანკალებული დედა მოუთმენლად შეჭურებდა და ელოდა, ელოდა რას იტყოდა მისი შვილი, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ფეთიზი ცოცხალი იქნებოდა, მაგრამ ფთავმა პასუხს ავკიანებდა, დედის წინ, შავი წამოსასხამით, ღამესავით იღა. ღუმლი დიდხანს ვაგრძელოდა. შვილს თქმისა ეშინოდა, დედას—ვაგონებს. რაც დრო ვადიოდა, შიში უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

დედამ შეამჩნია, რომ ფთავმამ წამოსასხამის ქვეშ რალაც შეხვეული რვეალი სავანი დამალა და კალთა ვადანდარა. ვაურკვეველმა შიშმა მოიკვა.

—შვილო, რატომ ხმას არა მცემ? რა შეინახე კალთის ქვეშ?



შეშინებული ფთავამი გვერდზე გადახტა.

—არაფე-ოა, დედი, არაფერი . . .

—ფთავამი! — ბრძანების კილოთი დღუძახა დედამ, — მოდი აქ!

შვილი მორჩილებით მიუახლოვდა. დედამ მოჰკიდა მკლავში ხელი და სახლში შეიყვანა.

—გახან და დამანახე, რა გაქვს მანდ შეხეუული? არ გესმის? ჩქარა!

ფთავამი მუხლებზე დაეცა და დედას შემოეხვია.

—მაბატე, დედი . . . სხვა გზა არ იყო . . . თვით ფეთიზმა მოხოვა . . .

—ფეთიზმა გთხოვა? რა გთხოვა, შვილო? მაშ კოცხალია ჩემი ბიჭიკო?

ფთავამი თვალეზზე ხელი დაიფარა და აქვითინდა. დედამ ათრთოლებული ხელებით შეხეუულს გახსნა დაუწყუო. ვახსნა და . . . საშინელი ხმით დაიწვილა. მის წინ სისხლში მოსვრელი შვილის მოკვეთილი თავი იდო . . .

—ფთავამი, მითხარ, ვინ დამღუპა, ვინ შეიღება ჩემი შვილის სისხლით ხელები, მითხარ, რომ წავიდე და საკუთარი ხელით გავუპო მას გული!

—მე დაგღუპე, დედი, მე . . . იი ჩემი მკერიდცი.

და ფთავამი გულისპირი ვადაიხია. ვაფთირებულ დედას თავხარი დაეცა. საბრალო ამას კი არ მოეგოდა. ერთხანს შვილს უახრო თვალეზით შემოლილივით შეჰჰურებდა, ბოლოს, როგორც იქნა, წამოიხიზნა:

—შენ . . . შენ მოჰკალ ჩემი ფეთიზი? მერე რათა, შე წყულო, რათა? როგორ უამიტე! ვაი, შვილო ფეთიზ, ამას რას შევესწარ!

გაუბედურებულმა დედამ თავში ხელები წაიშინა. ფთავამი არეულად უამბო საქმის შინაარსი და თან დასძინა: —ეს საშინელი საქმე იმისთვის ჩავიდინე, რომ გადამერჩინე შენ წამებისაგან და ჩვენი ოჯახი შერცხვენისაგან.

—სტყუი, შე საზიზარო, სულმდაბალო აღამიანო! ძმა მოჰკალ, რომ საკუთარი ტყავი გადაგერჩინა! რატომ შენც მასთან არ მოკედი, განა შენ კი არ იპარავდი, განა შენ კი არ არცხვენი ჩვენს ოჯახს! ი, წყუული იყავ, წყუული, მძის ჯალათო! — და გამწარებული დედა შვილს ეკლში აწვდა. მაგრამ გულმა უღალატა: შვილის წინ გონებაშიმდილი ჩაიკეცა. აღღვებულმა ფთავამი დედას სახეზე წყალი შეასხა და გონს მოიყვანა.

—ხვალ მე თვით მივალ ფარაონთან და გამოვთხოვ შვილის გვამს, — თქვა მისტეტებული ხმით დედამ და წამოსადგომად წამოიწია. შვილის მიშელებული ხელი ზიზლით ჩოიშორა.

—რას ამბობ, დედი! ეგ შეუძლებელია . . . ფარაონი ორივეს თანამონაწილეებად ჩაგვთვლის და სიკვდილით დაგვჯდის . . . აბა დაფიქრდი.

—არავითარი ფიქრი . . . მე მინდა ჩემი ფეთიზი ჩემთან იყოს, გესმის, ჩემთან შენ კი შორს, შორს ჩემგან . . .

—ამალამ ან ფეთიზის გვამს მოგიტან, ან ხვალ მის გვერდით მნახავ კედელზე ჩამოკიდებულს, მოიძახა ფთავამი და გიყვივთ გაეარა დაიწვილა.

ფთავამი ერთი ტყვი იშოვა, ბანგვარეული დენით აავსო, სახედარს გადაჰკიდა და ფარაონის სასახლისაკენ გასწია. ჯერ კიდევ დღე იყო, რომ „მკედართა ქალაქში“ შევიდა. „ჯერ აღრეა“ — გაიფიქრა. სახედარი მოფარებულ ადგილას დააბა, თვითონ დასაზვირავად წავიდა. მძის უთაო გვამი ისევ კედელზე გვიდა. ცხობისმოყვარე ხალხი დამლილიყო, გვამთან საყარაულოდ მხოლოდ ორი გუშმა იდგა. ფთავამი კმაყოფილი დაბრუნდა . . .

მზემ უქანასკნელად შესტყორცნა ოქროს სხივები ტაძრების მწვერვალებს და ლიეის მთებს იქით ჩაესვენა. მოლამდა საგუშავოს სახედარიანი კაცი მიუახლოვდა. შეუშინებულად ტიკს პირი მოხსნა და აყვირა:

—არიქა, ბიჭებო, მიშველეთ, ლენო მეტყევა!

მცველები მიცინდნენ, მუზარადები ¹⁾ მოიხადეს და გამოდენილ ლენოს შეუშვირეს. აავსეს და დალიეს. ფთავამი განგებ გაჯავრდა:


—რას ჩადინართ, თქვე ოხრებო, სეამა?

—არა, გემოს უჩინავათ, — იხუმრა ერთმა და მუზარადი მეორედ აავსო.

—მიჰქარავ! — დაიყვირა ფთავამი და მუზარადს წაეტანა, მაგრამ მცველმა მოასწრო და ცლა და ლენის პატრონის კბილები უჩვენა:

—შე კიი კაცო, რა გაყვირებს? შენთვის სულერთი არ არის, ლენო მიწაზე დაიქცევა თუ ჩვენ კუჭში ჩავა?

—მამა გიცხონდა, ჩვენ კუჭში ჩავა, — გამოაჯავრა ფთავამი, — თითქოს მეტყიდ მქონდეს ნაშოვი!



მათი ლაპარაკით ისარგებლა მეორე მცველმა, მუზარადი მესამედ ააგისო და სამუშაოსაკენ მოუსვია. პირველიც მას აედევნა.

—ძმობილო, არ გეწყინოს, შენი სადღეგრძელო იყოს! მცველებმა შორიდან მუზარადი უჩვენეს და გადახარხარეს.

—შხამად, ავახაკებო, შხამად!—მოათახა მათ ფთავამიმ და ლანძღვა-გინებით მოშორდა. ფთავამიმ თავის მიზანს მიიღწია. მხოლოდ ცოტა მოცდა იყო საკირო.

—უჰ, შენი გულისა რა ღვინო იყო!—წამოიძახა აღტაცებით ერთმა და ტუჩები გაამწვალკუნა.

—ფეიცვე რას, ¹⁾ მივსიხანა ღვინო მეფისშიც არ იქნება, ცეცხლივით წავიდა ძარღვებში—დაემოწმა მეორე და მუზარადი გამომშრალა.

ცოტახანის შემდეგ ორივეს ძილი მოუვიდა. ბანგმა მოქმედება დაიწყო.

—ვეთაყუა, ცოტახანს თვალებს მოვატყუებ და მერე შენ რომდენიც ვინდა იმდენი იძინე—უთხრა ერთმა და იქვე უღარდლოდ წამოიწვია.

—არა, ძმაო, ჯერ მე დავიძინებ, ტყვიასავით დამიძმინდა თავი . . .

მაგრამ პირველს უკვე არაფერი ესმოდა. მეორემ რამდენიმე წუთი იტრიალა, შეეცადა ძილის გაფანტვას, მაგრამ თვალები თავისთავად ეხუჭებოდა. ათი წუთის შემდეგ ორივე მცველი ტკბილად ხვრიწავდა.

ფთავამი შორიხალოს უთვალთვალებდა მათ. ფეხაერეთით მიუახლოვდა, თოკები ჩამოჭრა და ძმის გავაში ჩამოიღო. წაიღო და სახედარს გადაჰკიდა. მერე დაბრუნდა და ორივე მცველს ნახევრად თავები გადაპარსა და შუბლზე კუბრი წაუსვა, მუზარადები ღვინით აუფსო და ხელში დააკავებინა. „ახლა წადით და თქვენს ფარაონს უთხარით, სადაც თავისი ახსენოს, იქ ჩემიც არ დაიფიწყოს“—ჩაილაპარაკა გესლიანად და შინისაკენ გამოეშურა.

დილით გამველელები უტანაურ სანახაობას წააწყდნენ: ნახევრად გადაპარსული და შუბლზე კუბრი წასმული მცველები ისევ მიწაზე ეყარნენ და ხვრინავდნენ. ცარიელი მუზარადები ხელში ეჭირათ, ღვინო კი გულზე გადაესხათ და თეთრი სამოსი წითლად შეეღებათ.

—ბიკოს! ამით აქ ქეითი გაუპართათ! წამოიძახა ერთმა და მცველს მკლავში სწვდა:

—ეჲ, თამადავ, არ გესმის, ადექ! სტუმრები გავპარვიან, შენ კი არხინად გძინავს, ამა ეს სადაური წესია!

მაგრამ მცველი არ იმძროდა.

—ეტყობათ, მაგრად ჩაუსხამთ . . . მავათ წყალი თუ გააღვიძებს!—შემოიტრანა წინადადება ვილაკამ. წყლიც ჩქარა გაჩნდა, მახლობელმა მელუქნემ მოარბიინა.

ღვინის წვლების შემდეგ, როგორც იქნა, ფთავამი დაეპიტეს, ჯერ ვერ გამოერკვენ, თავი მისწრაფნენ ში ევართ, თვალებს უახროდ იკითხაქნენ: მცველებდნენ და, როგორც ეტყობოდათ, ადგომასაც არ ფიქრობდნენ. მაგრამ როდესაც მელუქნემ თითო ჯამი წყალი კიდევ თავებზე დაუშვა და თანაც დააყოლა „გამოთო“, მაშინ კი, იცოცხლე, იკადრეს ფეხზე წამოვარდა.

—ხალხო, რა ამბავია, სადა ვართ?!—იკითხეს შემწინებლებმა. მელუქნე ახიზითლა:

—ჯერ ჩვენთან, მერე ეკ აბანოში იქნებით! უთხრა გამახიარულულმა მელუქნემ. მცველმა თავდასულ მელუქნეს თვალები გაღუტრიალა და მუსტი უჩვენა—ტბილებს ჩავიმტყუეო.

—ვაა, რას მაშინებ . . . მართალია, თავი ვადაგიპარსავს და შუბლიც ვაგემშვენიერებია, მაგრამ ჯერ ქურუმობა ხომ არ მივიღია?—უთხრა სიცილით მელუქნემ და ყოველი შემთხვევისათვის ხალხს ამოეფარა.

მცველებმა თავზე ხელი მოისვეს და მერე ერთმანეთს შეხედეს.

—კაცო, ეგ რა მოგსვლია?—უთხრა ერთმა მეორეს და სახეზე ღიმილის მსვავსი რაღაც გამოიხატა, მაგრამ უფრო ტრილის გაყადა, ვიდრე ღიმილს.

—მე რა უნდა მომსლოდეს . . . შენ თავს შეხედე, და, რასა გაეხარო!

ხალხმა სიცილ-ხარხარი ატეხა. ბოლოს მცველებს მოავონდათ, ვიდრეს თვალები შეავლეს და რა იქ გვაში ვეღარ იხილეს, ახლა კი თავს ვუშველოთო წამოიძახეს და რაც ძალია და ღონე ქონდათ ნილოსისაკენ დაეშვენ . . .

ფთავამის ბედი უღიმის

როდესაც ფარაონმა და ამენგოთებმა ეს ამბავი გაიგეს, გაოცებულნი დარჩნენ.

—ამენგოთებ, ხედავ, ქურდი რა ოინებს ჩადის!—უთხრა დანანებით ფარაონმა.

—მეფევ, ეტყობა, ქურდი დიდი მოხერხებული კაცი უნდა იყოს, როგორც ხედავ, მისი დაქერა ძალიან ძნელია.

—შევეცდები, რომ სასახლეში როგორმე შემოვიტყუილო, ამის შესახებ მე უკვე მოვიფიქრე—და ფარაონმა თავის ვეზირს ქურდის დაქერის გეგმა გააცნო . . .

მეორე დღეს მეფის მსახური ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ და ხალხს ხმამაღლა აუწყებდნენ ფარაონის სურვილს: ვინაიდან ღმერთებმა არ დალოცეს ჩვენი მბრძანებელი ვაჟიშვილით, თეთ კი არ იცის როდის წარადგება ოზირისის სამჯავროს წინაშე ანგარიშის ჩასაბარებლად, ამიტომ ბრძნული მოფიქრების შემდეგ მან გადაწყვიტა: აირჩიოს შეილაღ და სიძელ და მისცეს მეუღლედ თავისი მშვენიერი ასული ბერტრერი იმას, ვინც ყველაზე უფრო ჰკვიანი და ბრძენი აღმოჩნდება. ვინც დაჯილდოვებულია

¹⁾ რა—გვიტრუდა მზეს ვწოდებთ.

ასეთი თვისებებით და ბევს თავის იმედი, სასახლე-ში გამოცხადდეს მეფის ქალიშვილის ოთახში და უშვრად უამბოს მას, რადარა ბრძნული საქმე გაუკეთებია თავის სიცოცხლეში, სულრიფით, ეს საქმენი იქნებთან კეთილნი თუ ბოროტნი. და რომელიც მათ შორის აღმოჩნდება ყველაზე ბრძენი, ბერტრედი მას მისცემს თავისი ხელს. ასეთია სურვილი ფარაონისა . . .“

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავმა ფართო გამომხატურება ჰპოვა და ფეის ახალგაზრდობა აამოძრავა. ბევრს იმედის დაღმპარი დაუფარო გულში: იქნებ მეფის ასულს მოეწონო და ფარაონი გავხედო.

ფარაონის სასახლეს აუარებელი მსურველი მოაწყდა, რომლებსაც თავი ბრძენებად მოქონდათ. მაგრამ ბერტრედიც ცნობისმოყვარობა ვერცერთმა ვერ დააკმაყოფილა, და ყურებჩამოყრილნი და იმედ გაკრულებული გამოდიოდნენ . . .

როდესაც კარგად დაღამდა, ფარაონის სასახლეს ერთი ახივანი ჭაბუკი მიუახლოვდა. ჭაბუკი საზეიმოდ იყო მორიფული და მის განიერ ბეჭებს ძვირფასი მოსასხამი ამშვენებდა. სასახლეს შემოუარა და ბერტრედი ოთახის ფანჯარა მოძებნა. უხმოდ ავიდა კედელზე და ფანჯარას ქვეშ თოკი გამოაბა, მერე თოკის წვერი დაბლა დაუსვა და თვითონაც თან ჩამოჰყვა. ტანისამოსი შეისწორა და სასახლის კარგბს გაბედულად მიადგა. როდესაც მცველებმა მოსვლის მიზეზი მოისმინეს, ახალმოსული შეგნით შეუსვეს. მსახურმა ქალმა ჭაბუკი ბერტრედს წარუდგინა. ჭაბუკის გარეგნულმა სილამაზემ ბერტრედი მოხიბლა. მსახურ ქალს ანიშნა ოთახი დაეტოვებია.

—მე გავკადნიერდი და გავბედე თქვენთან მოსვლა, მშვენიერო ასულო, — დაიწყო ტკბილის ხმით ჭაბუკმა, — მე ბევრი მაქვს თქვენთან სათქმელი, მაგრამ . . .

მან ეკვის თვალთ შეათვალღერა ოთახი, ბერტრედი დაამევიდა.

—ნუ შიშობთ, ჩვენ მარტონი ვართ, თამამად! სათქვით.

—არ ვიცი, შევძლებ თუ არა. დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარობა, მაგრამ მე მაინც მინდა მოგიფარო ჩემი საინტერესო თავგადასავალი, რომელიც თქვენი სასახლის ირგვლივ ვაღამხდა.

ჭაბუკი ცოტახანს შეჩერდა და ბერტრედს გამოცდილი თვალებით შეხედა. ბერტრედი სმენა გაიმახვილა და ჭაბუკს თავით ანიშნა: გათხოეთ დაიწყეთო.

—დიდ, ჩემი უბედურების სათავე თქვენი სასახლიდან იწყება . . . აქ დავღებარ ჩემი საყვარელი ძმის სისხლი. რომ ფარაონის რისხვა ამეცდინა . . .

მე ის კაცი ვარ, რომელიც ფარულად შედიოდა მამათქვენის განმსაფარში და საუნჯეს იტაცებდა.

გახარებული ბერტრედი ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ ჭაბუკმა ანიშნა ნუ მიშლითო.

—მე ის კაცი ვარ, რომელმაც მახეში გამხლქმძის თავი მოჰკვეთა, თან წაიღო და აწარმოა მოქმედების კვალი დაფარა . . .

ბერტრედი ხელი გაუწოდა და ალტაცებით შესძახა:

—ო, შენ ყველაზე ბრძენი და მოხერხებული კაცი ყოფილხარ! მოიტა შენი ხელი!

ჭაბუკმა გაიღიმა და თავაზიანად მიმართა:

—ნუ ჩქარობთ, მშვენიერო ასულო, მე კიდევ მაქვს სათქმელი . . .

—მე დავაძინე მცველები, ვადავმარსე მათ თავები და მოვიტაცე ჩემი იმის გვამი; ამით მამათქვენს წავართვი ბოროტმოქმედების კვალის მიგნების უკანასკნელი საშუალება . . .

—მარა! — წამოძახა ბერტრედი, — აი ჩემი ხელი, მხოლოდ შენ გეძებდი მე!

ჭაბუკმა ხელი გამოუწოდა, ბერტრედი ორივე ხელი მაგრად ჩაავლო და წინასწარ გამხადებული ოქროს სამაჯური სწრაფად გაუკეთა. სამაჯურზე წერილი ჯაჭვი იყო გამოხმული. ჯაჭვი მოსასხამს ქვეშ ოსტატურად ჰქონდა დაფარული და წელზე შემოხებული.

—ო, მძარცველო ჩემი ტყვე ხარ! ეი, ხალხნო, მიშველეთ!

ჭაბუკმა ბერტრედის ძახილზე გაღიზიარა, ჯაჭვით დაბმული სხვისი ხელი შეატოვა და თვითონ კი ფანჯარას შეახტა და სწრაფად ქვეით გადემსვა. ბერტრედის ყვირილზე ოთახში შეიარღლებული ხალხი შემოვიცინდა ჭაბუკის შესაპყრობად, მაგრამ



გაოცებულნი შედგენ: გულშეღონებული ბერტრერი
სავარძელზე იყო მისვენებული და ხელში ადამიანის
მოჭრილი ხელი ეჭირა . . .

ამ შემთხვევამ ფარაონი მეტად გააოცა. ის დარ-
წმუნდა, რომ ქურდი მართლაც ძალიან ჭკვიანი და
მოხერხებული კაცი უნდა ყოფილიყო.

— ამეგვიტე! მიმართა ფარაონმა, — ქურდზე მე
აზრი შეეცვალა, ის კაცი ჩვენ გვეკონის როგორც
ჭკუით, ისე მოხერხებით . . . მე მართლაც გადაე-
წყვიტე, რომ მას მივსცე ჩემი შვილი ცოლად.

ამეგვოთებმა გადაწყვეტილება მოუწონა და თა-
ვის მარცხ ქურდის კუთა და გამბედაობა შეაქო . . .

ფარაონის ხალხი ერთხელ კიდევ გაემართა ქუჩე-
ბისაკენ და მოსახლეობას აუწყეს ახალი გადაწყვე-
ტილება: „ჩემი ქალიშვილის მამებრათაგან ბერტ-
რერმა უბრაუტესობა მისცა იმას, რომელიც მასთან
იყო გვიან ღამით და ხელი დაუტოვა. მეც თვით
ავირჩიე ის შვილად და სიძეც; ცოლად ვაძლევ ჩემს
ქალიშვილს ბერტრერს და ვაცხადებ ხალხის წინა-
შე, რომ საიდუმლოდ იქნება შენახული ყოველივე,
რაც მან უამბო ჩემ ქალიშვილს და არც დაისჯება.
ამევე დღოს უებრძანებ მას, რომ დღესვე წარმოსდგეს
ჩემს წინაშე კურობევის მისაღებად! ასე ლაპარაკობს
მეგობარი ჰემმარიტებისა, მზის შვილი რამესუ“.

საზეიმოდ მორთული ფთავგამი მეროდ წარდგა
ბერტრერის წინაშე — ბერტრერმა იცნო და მზი-
არულად მიეგება:

— ო, თქვენა ხართ? მობრძანდით! გაიგეთ მზის
გადაწყვეტილება . . . კმაყოფილი ხართ? ქურდი
ფთავგამი დაბლა დახარა თავი და ბერტრერს
ხელს ეამბორა.

— ციურა ასულა, კმაყოფილი ხართ? ენა ჩემი
უძლურია გამოთქვან ის უღიდესი სიხარულის გრძნო-
ბები, რომელსაც განვიციდი მე . . . მხოლოდ იც-
ნებით შემძღო ასეთ ბედნიერების მწვერვალზე
აფრენა . . .

— მე მჯერა თქვენი გულწრფელი აღიარების . . .
მაგრამ თქვენ მაინც ძალიან დიდი, დიდი ეშმაკი
და მოხერხებული კაცი ყოფილხართ! და ბერტრერ-
მა მზიარულად გადიკისკისა. ფთავგამიაც ჩაი-
ცინა.

— თქვენ გინდოდათ ჩემი დაბატმრება, მაგრამ
სხვისი ხელი — კი შეგრჩათ . . .

რამდენიმე დღის შემდეგ ფთავგამისა და ბერტრე-
რის ქორწილი დიდის ამბით გადაიხადეს. ქორწილს
ხუროთმოძღვრის ქვრივი არ დაესწრო. შვილის
თხოვნაზე დედამ შემოუთვალა: „მე შენსავით სულ-
დაბალი არა ვარ, რომ ჩემი შვილის გეამს გადავა-
ბიჯო, დიდებისაკენ წავიდე, ჩემი ბედნიერება სხვის
უბედურებაზე ავაგო“

როდესაც ფარაონი გარდაიცვალა, ეგვიპტეს სა-
მეფოს ტახტზე ფთავგამი ავიდა და ფარაონ რამე-
სუ მეექვსე დაირქვა.

ბიჭიკო ხუნდაქეს


ვულდენი უცნობ ბიჭიკო ხუნდაქეს, რომელ-
მაც მამის მიერ სათამაშოების საყიდლად მიცე-
მული ფული შეიტანა ესპანელ ბავშვთა დახმარ-
ებების ფონდში და ოღუწრად ყველა ბავშვს, დაეხ-
მარონ ესპანელ პატარებს.

6. დაფნარელი.

ეს ბიჭიკო რა ბიჭია,
რა კარგია, რა ჭკვიანი,
მე პირადად არ მიწახავს,
უნდა იყოს შეათმინანი.
მამამ, თურმე, ფული მისცა,
სათამაშო რომ გყიდა,
ან „მანქანა“ ან „მოტორი“,
ან „აქლევი“ ერთი ციდა!
უხაროდა: დღეს ყველაფერს
ვიყიდი და მოვიტანო.
მაგრამ... უცებ შე რთა ბიჭი,
„ეს რა ვთქვიო“, თითქოს ხანობს, —
ჩვენს ბიჭიკოს მოავიხნდა
ესპანეთის პატარები
და სურვილი დაებადა
გულში მათი დახმარების.
„ჩვენ რა გვიჭირს. — ამბობს იგი, —
ბედნიერი ქვეყნის შვილებს,



არაფერი არ გეკლია
ყავილით გადაშლილებს,
მაგრამ იქ კი... გოგო-ბიჭებს,
ოჰ, ვინ იცის, რა აწუხებთ,
ზოგს შიშბილი სულს უხუთავს,
ზოგსაც ტყუი გულმეგრდს უხვეს-
დე. ეს ფული იმით ჰქონდეთ,
შემაჭეს ფონდში, გიწვევთ ყველას:
დავებმაროთ ესპანეთის
მშრომელთ ბავშვებს ჩვენც
გულწრფელად.



1. აბაშიძე გრიგოლ: ვაზაფხულის დილა (ლექსი) — № 5.
2. აგლაძე ელენე: ა) საჩუქრები ყრილობას (წერილი) № 1. ბ) დაცავით რაზმის დროშა, — გადმოცემული რუსულიდან № 1. გ) მეთორმეტე (წერილი) № 2. დ) გამოცანა — № 3. ე) იშვიათი გამოფენა (წერილი) № 10. ვ) შეუღრგველი მებრძოლი (წერილი) № 11.
3. ადამია მერი: ჩირაღდნები (ნარკვევი) — № 5.
4. ალექსიძე. ალ: ცხრა იანვრის დილა, (ნარკვევი) — № 1.
5. აროსია გრ: ა) ფუტკრების შრომა დღეები (ლექსი) — № 2. ბ) სამაისო სიმღერა (ლექსი) № 5. გ) ჩვენი სიმღერა (ლექსი) № 10.
6. ბედუქაძე სარა: ა) კოკლესი (მოთხრობა), — თარგმანი ფრანგულიდან — № 5. ბ) ეს იყო მისი მეცხრე სიმფონია, — თარგმანი ფრანგულიდან, — № 7.
7. ბელიაშვილი თ: დათუნას მოგზაურობა (პიესა), — № 8 — 9, 11.
8. ბენაშვილი დ: ვლადიმერ მაიაკოვსკი — № 5.
9. ბუჭურაული ვანო: ერთი შემთხვევა ვეფხისტყაოსნიდან (მოგონება) — № 7.
10. გრიშაშვილი იოსებ: ა) აკოფიანი დას (ლექსი), თარგმანი სომხურიდან № 6. ბ) კახანა (ლექსი) — № 7. გ) მელის მოთქმა (ლექსი) — № 11.
11. გაბაშვილი ეკატერინე: ლევ ტოლსტოის არქივიდან — № 4.
12. გეგეჭკორი ლადო: ა) რომენ როლანი (წერილი) — № 2. ბ) ბედნიერი ეთერი (ნარკვევი) — № 4.
13. გვინჩიძე შალვა: ა) დიმიტრი ფურმანოვი, — № 1. ბ) ვასილ ჩაპევი — № 2. გ) იქ, სადა მფობს კაპიტალი (წერილი) — № 5.
14. გოგლიძე ვიქტორ: ქალაქი — № 6.
15. გიგბერია პეტრე: სერგეი კარსკი (ლექსი) — № 2.
16. გაბედავა ტრიფონ: პარაშუტი (ლექსი) — № 3.
17. დარბიანი: მაშლაქათი (მოთხრობა) № 2.
18. დევდარიანი კლავდია: უცნაური მეგობრობა (მოთხრობა) — № 3.
19. ევდოშვილი იროლინ: ნადირობა (მოთხრობა) — № 8-9.
20. ესებუა გრიშა: პატარა დღეგატი (ლექსი) — № 4.
21. თაბუკაშვილი შალვა: ა) დიდი მწერალი (წერილი) — № 1. რომელი ფრინველი აგიტებს ჩხუბს თუ თავი არ დაუკარი? — № 1. გ) ორდენოსანი (ნარკვევი) — № 2. დ) როკოები (მოთხრობა) — № 4. ე) უცნაური მოვლენები — № 7. ვ) მზე — № 11.
22. იაშვილი პავლე: ოთარ შოაფერი (ლექსი) № 1.
23. კახიძე გიორგი: ა) გრეფერუტი (ლექსი) — № 1. ბ) მოხუცი მწერალი (ლექსი) — № 3. გ) სოფლის შარა (ლექსი) — № 11.
24. კალანაძე გიორგი: ა) ვაზაფხული მთაში (ლექსი) — № 5. ბ) ნიბლია (ლექსი) — № 11.
25. კახიანი ვალოდია: ა) ტყის მოცეკვენი — № 2. ბ) ხმელეთისა და ზღვის ღორები — № 8-9. გ) გოლიათი კუ — № 10.
26. კოკელაძე გრიგოლ: მერცხალი (ნოტები) — ლექსი შ. მელიქიძისა — № 2.
27. ლორთქიფანიძე ნიკო: ა) გენრი სტენლის ცხოვრება და თავდასავალი (თარგმანი რუსულიდან) — № 4. ბ) პეტრიკა და პეტრიკელა (ზღაპარი), თარგმანი გრიმიდან — № 8-9, 10.
28. ლომთათიძე გიორგი: ა) ირმის კული (ლექსი) — № 2. ბ) ცოცხალი ტყუილი (ზღაპარი, ჩაწერილი იმერეთში).
29. მარიაშვილი შალვა: ა) შინაზე ნიღოსი — № 2, 3. ბ) ოზირისის სამეფოში (მოთხრობა) — № 7. გ.)

ქვეყნული
ბიბლიოთეკა

- ფერაონის საუნჯე და ხუროთ-
მოძღვრის საიდუმლოება (მო-
თხრობა) — № № 10, 11, 12.
30. მიქელაძე მარიკა: ა) ჩვენს თხუთ-
მეტი წლისანი ვართ (ლექსი) —
№ 2. ბ) სამაისო აღლუმში (ლექ-
სი) — № 5.
31. მიწქალიძე: ა) ბუბა და ლელა (მოთ-
ხრობა) — № № 3, 4, 5) საღამო
ციტრუსებში (ლექსი) — 10.
32. მელაძე კარლო: რისთვის იბრძვის
ესპანეთის ხალხი № 10.
33. მრევლიშვილი მაყვალა: თხილამუ-
რები (მოთხრობა) — № 1.
34. მიაიკოვსკი ვლ: ვინ უნდა ვიყო?
(ლექსი), თარგმანი მ. პატარიძისა
— № 8, 9.
35. ნაკაშიძე ნინო: მამალი და მელია
(ზღაპარი) — № 2.
36. ნაკაშიძე იტა: საშა წულუკიძის ბავშ-
ვობიდან (მოგონება) — № 3.
37. ნიკოლაიშვილი იასონ: მკითხავი
(ზღაპარი, ჩაწერილი გურიაში)
— № 5.
38. ონელი არნო: ვახაფხული (ლექსი)
— № 4.
39. ოსტროვსკი ნიკოლოზ: როგორ იწრ-
თობოდა ფოლადი. (მოთხრობა)
თარგმანი რ. ქორქიისი — № 1.
40. პეტრიაშვილი ვახტანგ: ფრიადოსანი
გოგონა (ლექსი) — № 4.
41. ჟღენტო სანდრო: ზოოპარკი (ლექსი)
— № 3. ბ) საღამო ზღვაზე (ლექ-
სი) — № 7.
42. სტალინი ი. ბ: ს. ს. რ. კავშირის
კონსტიტუციის პროექ-
ტის შესახებ. მოხსენება საბ-
ჭოების სრულიად საკავშირო
საგანგებო VIII ყრილობაზე —
№ 12.
43. სამადაშვილი შაქრო: დოლორეს
იბარუს (ლექსი) — № 10.
44. სულავა აღექსანდრე: ა) საბჭოთა
კავშირის პირველი მარშალი (წე-
რილი) — № 6 ბ) ირ. ედლოშვი-
ლი (წერილი) № 8, 9.
45. ტაყშელაშვილი ნინო: ა) უეცლო
კატუსი, — № 3, ბ) ვინაა ლამაზი?
- № 7. გ) ხელუხლები (წერილი)
ხური ზღაპარი) — № 11.
46. ტოლსტოი ლევ: ა) სიომას, ფედკას
და ტოლსტოის თხზულება. —
№ 1. ბ) რატომ ვხედავთ ბნე-
ლაში? თარგმანი რუსულიდან შ.
თაბუკაშვილის მიერ — № 1.
47. ტაბაბაძე შალვა: კოფიანი ძაღლები
(წერილი) — № 8, 9.
48. ტექნიკოსი: ა) როგორ ისვრის კოლო-
ქემეზებს: — № 3. ბ) ვალოდია
კოჩინაის ვაფურენა სტრატოს-
ფეროში (ნარკვევი) — № № 6, 7,
8, 9. გ) როგორ წარმოიშვა
ულაბნო ყარაყუმი — № 6.
49. ქორქია როდიონ: სხარტული სიტყვე-
ბი — № 8, 9.
50. ქურდიანი შალვა: ბავშვების საყუ-
რელი თეატრი, — № 5.
51. ქოჩიაშვილი ნ: ა) გამოცანები
— № 1. ბ) ბაყაყებმა ვაჩერეს
მატარებელი, — № 4.
52. ლოლობერიძე შალვა: აბისინია (ნარ-
კვევი) — № 1.
53. შამათავა დავით: ა) ალონს სან ჭიბო
(მოთხრობა) — № 2. ბ) მშენენ-
ლები (ნარკვევი) — № 6. გ) მერ-
ცხალი. (ლექსი) № 4. დ) კო-
ჯორის ბანაში (ნარკვევი) — № 7.
54. შავერზაშვილი თამარ: ა) მარში
(ნოტები) — № 1 ბ) მუსიკალური
გამოცანა (ნოტები) — № 7. გ)
სამაისო სიმღერა (ნოტები) № 10.
55. ჩხეიძე ბორის. ვიორჯი შეცამეტე
(მოთხრობა) — № 3. ბ) სოსია
ხაჩიძე (მოთხრობა) — № 10.
56. ჩხაიძე ია: ფრიკა დეა (მოთხრობა)
— № 8, 9. ბ) პაულ იჩინო (მო-
თხრობა) — № 10.
57. ჩაჩიბაია ვასო: ნაკარ ქექია* მოზარდ
მაყურებელთა თეატრში — № 6.
58. ჩიქოვანი გრიგოლ: ორდ (საბავშვო
სცენარი) — № 6.
59. წერეთელი ლეო: დაუგეწყარი წუ-
თები (დელეგატის დღიურიდან)
— № 5.
60. ქანტურიშვილი კ.: ნიკოლოზ ოსტ-
როვსკის (ლექსი) — № 7.
61. ქიქინაძე ლავრენტო: ა) ერთი ვადა-
რჩა (მოთხრობა) — № 2. ბ) იო-
სებ გრიშაშვილი (წერილი) № 6.